მოთხრობაში ჩანს თემის რღვევის პერიოდი, თუმცა, თემი მთელი სიცხადით ცდილობს შეინარჩუნოს ძველი ადათ-წესები. ყველა სადავო საკითხს თემის უზუცესები წყვეტენ და გამოაქვთ ლოგიკური განაჩენი. ნაწარმოებში საინტერესოა ასახული მოსისხლე მტრის გასამართლება და მასთან შერიგება. ელგუჯასა და სვიმონ ჩოფიკაშვილის საკითხს თემი განიხილავს და რახან ნახავენ, რომ ელგუჯას ხელით არ იყო მოკლული გაგი, ამიტომ სისხლის ძიება არ ეკუთვნოდათ ჩოფიკაშვილებს. კრება ითვალისწინებს იმასაც, რომ მზალო არ იყო ძალით გატაცებული და თავისი ნებით გაჰყვა ელგუჯას. ამ შემთხვევაში ჩანს, რომ თემი დემოკრატიულ და ჰუმანურ პრინციპებზეა აგებული.

თუმცა, თემი ითხოვს თავისი გადაწყვეტილების შესრულებას: „გაგის კლდეზედ გადავარდნა არ არის პირდაპირი ელგუჯას ხელით სიკვდილი და სისხლი არ ეძიება ამისთვის. ამის სამაგიეროდ ელგუჯას ჩამოერთოს მამული და მიეცეს სვიმონ ჩოფიკაშვილს... სვიმონმა თავი მხრით გაიღოს ელგუჯას საექიმო. ელგუჯას ნათესაობა, თემის კაცების დასწრებით, მოვიდეს ხარითა და ლუდით გაგის საფლავზედ შესახვეწად. ქალი დარჩეს სვიმონს, როგორც ნასყიდი, და, თუ ელგუჯამ წაყვანა

მოინდომა, ურვადად გადაეხადოს ორმოცი ძროხა. ამის შემდეგ ელგუჯას და სვიმონის გვარეულობაში ჩამოვარდეს ძმობა, მეზობლობა და სიყვარული“ [1, 79].

მოთხრობაში ვხვდებით ხალხური სიტყვიერების არაერთ ნიმუშს. საინტერესოდაა დახატული, თუ როგორ ემშვიდობება სახალხო მთქმელი ღინჯა ხულეული სვიმონ ჩოფიკაშვილს: „მოხვევმ ფანდურს კიდევ ჩაჰკრა, ჩაჰკრა და ერთბაშად დაიძახა:

შენ რომ გვშორდები, გმირთ-გმირო

რალას გვიპირებ ჩვენაო?

გიყურებთ, გული დუღდების,

ძლივს-ღა გვიბრუნავს ენაო“ [1, 167]

მოთხრობაში დახატულია საწესჩვეულებო სცენები, სამგლოვიარო მოთქმა, მიცვალებულის ხმით დატირება. ავადმყოფი სვიმონ ჩოფიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ, „მიცვალებული გაბანეს, ჩააცვეს საუკეთესო ტანისამოსი მოპარსეს წვერი და საკაცით „სამყოფო სახლში“ დაასვენეს. ჭირისუფალნი და მგლოვიარე ნათესავ-მოკეთენი სამის მხრით გარს შემოეხვივნენ, მხოლოდ ისე მოშორებით კი დადგნენ, რომ მოტირალთა და ცხედარის შუა კაცის გასასვლელი ადგილი დარჩენილიყო... ესენი განსაკუთრებით ქალები და დედაკაცები იყვნენ, რომელთაც თავშეშენი მოეხვიათ, თმა გაეწეწათ და დამკლავებულნი სატირლად მომზადებულიყვნენ. სოფლის დედაკაცები ჯგუფ-ჯგუფად... მთაში შემოღებულის თავისებურის ტირილით შემოდიოდნენ... ამბავი სრული შვიდი დღე გრძელდებოდა... სახლში მყოფთ შორის რომელიმე მოხუცი მანდილოსანი ცხედარის მკერდიდგან თოფს აიღებდა, ზედ დაეყრდნობოდა და მიცვალებულს ლექსად შესხმას ეტყოდა, მის ცხოვრებას ხალხს მოუთხრობდა. მომთქმელს დანარჩენები, დრო გამოშვებით მისცემდნენ შანსა და მოჰყვებოდნენ შეწუხებულის ხმით, ზარით ტირილსა.

ყოველი მოქმედება, ყოველი სამსახური, ყოველი სახსენებელი სქმე, რომელიც მიცვალებულს ცხოვრებაში ჩაედინა, ეხლა საქვეყნოდ მოიხსენებოდა და მსმენელთა შორის თანაგრძნობას და მადლობას გამოიწვევდა.

მიცვალებულის სახელთან ერთად იმ დაკლებულთ სახელებსაც არ ივიწყებდნენ, რომელთაც ხალხისთვის ოდესმე შესამჩნევი სამსახური გაეწიათ და ვაჟკაცობის სახელი დაემსახურათ“ [1, 166].

ყაზბეგი დიდი სიზუსტით აღწერს მოხვევითა წეს-ჩვეულებებს.

„ალექსანდრე ყაზბეგი თავის ნაწარმოებებში იყენებს მთის მდიდარ ფოლკლორულ მასალას, რომელსაც გარდაქმნის და გადაამუშავებს შემოქმედის ხედით და წარმოაჩენს მთიელი ხალხის სულს, ზნე-ჩვეულებებსა და ადათს“ [5, 95].

ხალხურ შემოქმედებასთან ერთად თავის თხზულებებში იგი ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებსა და ეთნოგრაფიულ მასალას. საზოგადოდ, მას მიიჩნევენ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლად და ასევე საუბრობენ მისი შემოქმედების მიმართების საკითხებზე დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურასთან.

ვფიქრობთ, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში კვლავ ბევრი რამაა შესასწავლი და გასააზრებელი.

#### ლიტერატურა:

1. ყაზბეგი ა., მოთხრობები, თბილისი, „ნაკადული“, (1976).
2. ვარდოშვილი ე., პოეტური თანხვედრანი, წიგნი II, თბილისი, „ბარტონი“, (2014).
3. ჩავლეიშვილი თ., ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ შემოქმედებითი ისტორია, თბილისი, „მეცნიერება“, (1985).
4. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, (1952).
5. ვარდოშვილი ე., პოეტური თანხვედრანი, თბილისი, „ბარტონი“, (2010).

## FOR REFLECTION OF FOLK CREATIVITY IN THE WRITINGS OF ALEXANDER KAZBEGI

**Eka Vardoshvili**

Doctor of Philology, Corresponding Member of the  
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Ivane  
Javaknishvili Tbilisi State University, Associated Professor  
E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

*Presented by the Institute of Georgian Language and Literature named after Professor  
Otar Churgulia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** Kazbegi uses folklore material in artistic, ethnographic and autobiographical works. The ethnographic letter “Mokheve people and their life”, which was published in the newspaper “Droeba” in 1880, is a kind of basis for his creativity. In “Memoirs of a Former Shepherd” he writes: “I wanted to see the people, I wanted to understand their desire, to live their life... As I heard and understood all this, I decided to tell you stories and introduce you to the customs, character and rules of these people” (Kazbegi). Here Kazbegi clearly defined the purpose of his life and the essence of artistic creations.

It is also worth noting that he himself collected and distributed samples of folk-lore. In 1885, the poems written by him were published in “Iveria” under the title “People’s poems gathered in the ravine from A. Mokhubaridze”. In 1886, “Folk poems, songs of a Mokheve and Mokheve people” was published as a separate book. The influence of folk vocabulary can be seen in his lyrical poems as well. We think, in this regard, there are still many things to be studied and understood in his literary legacy.

**Keywords:** *Kazbegi, georgian folklore, artistic works.*

## სინამდვილის მხატვრული გარდასახვა

ჯონი მარღანია

ფილოლოგიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის  
მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ ოთარ  
ჭურღულიას სახელობის ქართული ენისა და  
ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-  
თანამშრომელი, სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, სამშვიდობო განათლების ცენტრის  
მკვლევარი  
E-mail: jmargania@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ ოთარ  
ჭურღულიას სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** ხელოვნება და კერძოდ მისი სიტყვიერი დარგი - ლიტერატურა, როგორც ცნობიერების ფორმა, წარმოადგენს რეალობის ასახვას, მაგრამ არა მის ასლს, პირდაპირ გადაღებას, არამედ მხატვრულ გარდასახვას. ცნობილი ფრანგი მოღვაწე დენი დიდრო ცხოვრებისადმი ხელოვნების მიზანძვის ორ სახეს გამოყოფდა - ფოტოგრაფიულს, ე.ი. უიდეო, მორალურ ღირსებას მოკლებული, და ნეიტრალური-იდეური და მორალური, სწორედ ამ თვისების მატარებელია მხატვრული ლიტერატურა.

მხატვრული შემოქმედება მთელი ობიექტური სინამდვილის ასახვას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი მხოლოდ ადამიანურ სამყაროს, საზოგადოებრივ სინამდვილეს, სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებას წარმოსახავს.

მხატვრულ ნაწარმოებში ავტორი ახდენს ცხოვრების განზოგადოებას. ის სპეციფიკური საფუძველი კი, რომლის მეშვეობითაც შემოქმედი ახდენს სინამდვილის წარმოსახვას, არის შეთხზვა, გამონაგონი - „ქმნა არყოფილისა ყოფილად“.

მხატვრული შეთხზვა და საერთოდ ფანტაზია იმ შემთხვევაშიც დიდ როლს თამაშობს, როდესაც მწერალი მიზნად ისახავს ისტორიული პიროვნების

(პიროვნებების) ან მოვლენის განსახილველად. მხატვრული გამოწვევა ასეთი თემატიკის ნაწარმოებებს უფრო მეტ სიმაღლის ელფერს ანიჭებს, ვიდრე მოვლენათა რეალური და ზუსტი წარმოსახვა (მაგ. გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“, ლ. ქიჩელის „ჰაკი აბა“).

მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილიდან აღებული მასალის საფუძველზე ზნეობრივი ტენდენციები დიდი მხატვრული სულისკვეთებით არის გააზრებული.

ნაწარმოებში არანაირ შემთხვევით ელემენტს არა აქვს ადგილი, მწერლის ყოველ სიტყვას, მხატვრულ „დეტალს“ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია და საბოლოო ჯამში ცხოვრებისეული რეალობის მხატვრულ სიმაღლედ გარდაქმნას ემსახურება, რომელიც უფრო ნამდვილია და დამაჯერებელი, ამიტომაც მკითხველზე მეტ მორალურ-ზნეობრივ და ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს ვიდრე რეალური სინამდვილე.

*საკვანძო სიტყვები: ხელოვნება, ლიტერატურა, მხატვრული გარდასახვა.*

ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი თავისებურება მხატვრულობაა. ხელოვნების ნიმუშის ამ სპეციფიკურობას ხაზი ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის დიდმა მოაზროვნემ – არისტოტელემ გაუსვა თავის უნიკალურ ნაშრომში „პოეტიკა“, სადაც იგი მიუთითებდა რეალური სინამდვილის მხატვრულად ათვისების ერთ მეტად მნიშვნელოვან თავისებურებაზე: „პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა იყო ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი, რომ მომხდარიყო“ (1,161).

ხელოვნება და კერძოდ სიტყვიერი მწერლობა, როგორც ცნობიერების ფორმა, რეალობის ასახვას წარმოადგენს, მაგრამ არა მის ასლს, პირდაპირ გადაღებას, არამედ მხატვრულ გარდასახვას. ცნობილი ფრანგი განმანათლებელი დენი დიდრო გამოყოფდა ცხოვრებისადმი მიბაძვის ორ სახეს – ფოტოგრაფიულს, ე.ი. უიდეო, მორალურ ღირსებას მოკლებული და ნეიტრალური, მაშასადამე, იდეური და მორალური, სწორედ ამ უკანასკნელი თვისებების მატარებელია ლიტერატურა.

ხელოვნების საფუძველი არის რეალობის ასახვა, ლიტერატურა მით უფრო დიდია და მომხიბვლელი, რაც უფრო მეტი სიმაღლით ასახავს სინამდვილეს,

რადგანაც მის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს „ჭეშმარიტება და გამოხატვა“. დიდია მხოლოდ ის რაც სიმართლეს მოიცავს, მაგრამ ლიტერატურაში სიმართლე არ გულისხმობს სინამდვილის პირდაპირ ასახვას, არამედ ცხოვრებისეული მოვლენის მხატვრულ გარდასახვას, სადაც მხატვრული სიმართლის ერთადერთი საფუძველი არის ტიპურობა.

ცნობილია, რომ არსებობს სამყაროს ათვისების, როგორც თეორიულ-ლოგიკური სახეობა, ასევე მხატვრულიც. „ხელოვნების ქმნილება, უწინარეს ყოვლისა ხელოვნებაა თავისი საკუთრივ მხატვრულ-ესთეტიკური არსის გამო. ეს განსაკუთრებულობა არის ხელოვნების არსებობის უპირველესი საფუძველი“ (2,82) შესანიშნავად აღნიშნა ბ. ბელინსკიმ, რომ „ხელოვნება უწინარეს ყოვლისა ხელოვნება უნდა იყოს, ხოლო შემდეგ ის უკვე შეიძლება იყოს განსზღვრულ ეპოქაში საზოგადოების სულისკვეთების და მიმართულების გამოხატულება“ (3,682).

მხატვრული შემოქმედება მთელი ობიექტური სინამდვილის ასახვას არ წარმოადგენს, იგი მხოლოდ ადამიანურ სამყაროს, საზოგადოებრივ სინამდვილეს, სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებას წარმოსახავს.

დიდმა ილიამ „კაცია ადამიანში?!“ თავისი თანამედროვე სინამდვილე ისე ღრმად გახსნა, მიუხედავად იმისა, რომ ლუარსაბ თათქარიძე რეალობაში არ არსებულა, რასაც ვერ მიაღწევდა ვერცერთი ისტორიკოსი.

ნაწარმოებში ავტორი უპირველეს ყოვლისა ცხოვრების განზოგადებას ახდენს. ის სპეციფიკური საფუძველი კი, რომლის მეშვეობით სინამდვილის წარმოსახვას ახდენს შემოქმედი არის შეთხზვა, გამონაგონი, „ქმნა არ ყოფილისა ყოფილად“. „ვეფხისტათაოსნის“ შინაარსი და პერსონაჟები მოგონილია, მაგრამ შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გგონია (4,409).

მხატვრული შეთხზვა და საერთოდ მხატვრული ფანტაზია იმ შემთხვევაშიც დიდ როლს თამაშობს, როდესაც მწერალი ისტორიული პიროვნებისა ან მოვლენის განსახოვნებას ისახავს მიზნად. მხატვრული გამონაგონი ასეთი თემატიკის მომცველ მხატვრულ ნაწარმოებსაც უფრო მეტ სიმართლის ელფერს ანიჭებს, ვიდრე

მოვლენათა პირდაპირი და ზუსტი წარმოსახვა (მაგ. გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“, ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძმა“ და სხვა).

ყოფითი სინამდვილის წარმოსახვას მწერლები განსხვავებული ხერხებითა და საშუალებებით უდგებიან, გამომდინარე მათი იდეური მრწამსისა, შეხედულებებისა და საკითხის გადაწყვეტის საკუთარი პოზიციისა, ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა მწერალი, თუნდაც ერთი ეპოქისა, ერთი და იგივე, მოვლენის ან ფაქტის, თუნდაც ისტორიულისა, მხატვრულად განსახოვნებას სხვადასხვაგვარად ახდენს, მათ ნაწარმოებებში მხატვრული სიმართლე აბსოლიტურად განსხვავებულია, ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება თუნდაც ქართული მწერლობის მაგალითზე.

მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილიდან აღებული მასალის საფუძველზე ზნეობრივი (და არა მარტო) ტენდენციები დიდი მხატვრული ნიჭით არის გააზრებული და ამიტომაც მკითხველზე დიდ მორალურ ზეგავლენას ახდენს. ცნობილი ლიტერატურათმცოდნე პრ. კეკელიძე აკ. წერეთლის „გამზრდელთან“ დაკავშირებით აღნიშნავდა: „მართალია პოემა „გამზრდელს“ საფუძველად დაედო ხალხში გავრცელებული ზეპირი გადმოცემა, მაგრამ აკაკი წერეთელმა, როგორც დიდმა პოეტმა სტენოგრაფიულად კი არ გადაიღო რაც გაიგონა, არამედ შემოქმედებითი ძალით ახლებურად დაგვიხატა ყოველივე. აკაკი თვითონ აღნიშნავდა, რომ „ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა და ნახა, არამედ უნდა ჩაიწეროს. არა ასისა, ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან მიღებულ საგანს, რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალით“ (5,81).

მწერალი არა მარტო ქმნის ცალკეულ, ერთმანეთისაგან იზოლირებულ ანდა ცოტათი ერთმანეთისაგან განცალკევებით არსებულ სახეებს ნაწარმოებში, არამედ აჩვენებს მათ კავშირს, ხსნის ერთი სახისთვის დამახასიათებელ თვისებას მეორის მეშვეობით. მის უმთავრეს ამოცანას შეადგენს ის, რომ მკითხველს საინტერესო ცხოვრებისეულ მდგომარეობაში უჩვენოს ადამიანები, რომელთა შესახებაც სურს საუბარი.

მხატვრული ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, ეს არის მთელი სამყარო, ერთიანი ორგანიზმი, დამთავრებული, მაგრამ ამასთან ამოუწურავი სისტემა, რომელიც

იმიტომაც არსებობს და უძლებს ისტორიის ქარტეხილებს, რომ აქვს, შემოქმედებითი წვის შედეგად, ყველაფერი აუცილებელი და არაფერი ზედმეტი, სწორედ ეს თვისება ლიტერატურული ქმნილებისა განაპირობებს მის მარადიულობას.

რეალური მოვლენისა და ფაქტისაგან განსხვავებით მხატვრული სიმართლე მკითხველზე იმდენად ძლიერი ზემოქმედებითი ძალის მატარებელია, რომ სუბიექტი, რომელიც ეცნობა მხატვრულ ნაწარმოებს, ერთბაშად ივიწყებს გარესამყაროს, შედის მხატვრულ სამყაროში და შეიძლება ითქვას, ხდება მონაწილე, მჭვრეტელი მწერლის მიერ ასახული ვითარებისა. ეს მიღწევადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკითხველს მოქმედების ან პერსონაჟთა ქცევის სხვაგვარად ახსნა წარმოუდგენლად მიაჩნია, ვიდრე ეს მწერლის მიერ არის ნაჩვენები. დიდი გერმანელი მოაზროვნე ლესინგი აღნიშნავდა, „ნებისმიერი მოძრაობა, რომელსაც აკეთებს მოქმედი პირი, ჩვენ უნდა გვაფიქრებინებდეს იმას, რომ ჩვენც ასე მოვიქცეოდით და არა სხვანაირად“ (6,30).

მხატვრულ ქმნილებაში არანაირ შემთხვევით ელემენტს არ აქვს ადგილი, მწერლის ყოველ სიტყვას, განსაკუთრებით მხატვრულ „დეტალს“, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. ესა თუ ის წვრილმანიც კი გარკვეული აზრის მატარებელია და საბოლოო ჯამში კი ცხოვრებისეული რეალობის მხატვრულ სიმართლედ გარდაქმნას ემსახურება, რომელიც არანაკლებ ნამდვილია და დამაჯერებელი ვიდრე რეალურად არსებული და რომლის აღქმა და გააზრება მკითხველის მიერ შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მწერლის შემოქმედებითი პროცესის გათვალისწინებით, ნაწარმოების მთლიანობაში აღქმის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე.

უკვე აღინიშნა და ვიმეორებ, რომ მწერლები საკუთარი მხატვრული მემკვიდრეობის საფუძვლად, არც თუ იშვიათად, იღებენ მასალას ცხოვრებისეული სინამდვილიდან, ყოფითი რეალობიდან, ცნობილი დრამატურგი ა. ოსტროვსკი აღნიშნავდა, „რომ ის არასოდეს არ იგონებს სიუჟეტებს თავისი პიესებისათვის, იმას მას აძლევს ისტორია, საგაზეთო ცნობა, ნაცნობის მონაყოლი და ა. შ.“

მდიდარი ქართული სიტყვიერი კულტურის ისტორიაში ხშირია შემთხვევები, როცა გამოჩენილი მწერლები (ად ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვა) თავიანთ

ნაწარმოებების სიუჟეტებად ხშირად იყენებენ ხალხში გავრცელებულ თქმულებებს, ლეგენდებს, ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ მასალებს, რომლებიც მათ სტენოგრაფიულად კი არ გადმოაქვთ, არამედ შემოქმედებითი ძალით, ახლებურად, საკუთარი მრწამსისა და შეხედულების შესაბამისად წარმოაჩენენ ყოველივეს.

ცნობილი ქართველი მწერალი ლეო ქიაჩელი იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც კარგად აქვთ გათვითცნობიერებული რეალიზმის უპირველესი მოთხოვნა, „მწერლის საქმე ის კი არ არის, რომ გამოიგონოს არაყოფითი ამბავი, არამედ არაჩვეულებრივი მოვლენებიც კი ახსნას ცხოვრებისეული კანონებით, რომ მხოლოდ მხატვრული სიმართლის არსებობა ანიჭებს ხელოვნების ნაწარმოებს დამოუკიდებელ ესთეტიკურ ღირებულებას და გარდაქმნის მთელი პროცესი ექვემდებარება უმაღლეს სიმართლეს - მხატვრულ სიმართლეს“. ამის ბრწყინვალე ნიმუშია ნოველა „ჰაკი ამბა“. ნოველის სიუჟეტად ლეო ქიაჩელმა გამოიყენა რეალური ამბავი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქ. სოხუმში გასული საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1918 წელს, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, იდგამდა ფეხს.

ნოველის მთავარ მოქმედ გმირს - უჯუმ ემხვას ჰყავს რეალური პროტოტიპი, ის არის სამურზაყანოელი თავადის - მელიტონ ემუხვარის შვილი კოლია (ნიკოლოზ) ემუხვარი, მეფის რუსეთის ყოფილი ოფიცერი. რუსეთში მომხდარი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში და სახლდება სოხუმში. ერთ დილით სანაპიროზე სეირნობისას გადაეყრება წითელი რუსეთის მეზღვაურებს, ერთ-ერთმა მათგანმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. თავმომწონე თავადმა, რათქმაუნდა, არ აპატიო თავხედ მეზღვაურს უდიერი საქციელი და ის ორ მეგობართან ერთად საიქიოს გაისტუმრა. რის შემდეგაც შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს (სამხედრო გემის საკვამურში დაახჩვეს). ეს არის ის პატარა ისტორიული ფაქტი, მაგრამ დამერწმუნებით, არა უბრალო, რიგითი შემთხვევა, რომელსაც დაეყრდნო მწერალი და ამ მასალის განზოგადოების საფუძველზე შექმნა ეროვნული ტკივილებისა და ღრმა ქვეტექსტების შემცველი ბრწყინვალე ნოველა.

მწერალი ნოველაში „ჰაკი ამბა“ ქმნის არა მარტო ცალკეულ, ერთმანეთისაგან იზოლირებულ, ანდა განცალკევებით არსებულ მოვლენებს თუ სახეებს, არამედ

აჩვენებს მათ კავშირს, ხსნის ერთი სახისთვის დამახასიათებელ თვისებას მეორის მეშვეობით. ავტორის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს ის, რომ მკითხველს საინტერესო, ცხოვრებისეულ მდგომარეობაში უჩვენოს ადამიანები, რომელთა შესახებაც თვითონ ლაპარაკობს.

ნოველის გაცნობისას ჩვენ გვჯერა თითქოს დაუჯერებელი, არაჩვეულებრივი სიტუაციისა თუ მოვლენისა, ეჭვიც არ გვეპარება ასახულის სისწორეში, ეს ხდება იმის საფუძველზე, რომ ნაწარმოებში ნებისმიერი ვითარება, მოქმედ პირთა ქცევა დამაჯერებლად არის დასაბუთებული. ერთი სიტყვით, მწერალი შესანიშნავად გრძნობს, რომ მხატვრული სიმართლის არსებობა ანიჭებს ლიტერატურულ ნაწარმოებს დამოუკიდებელ ესთეტიკურ ღირებულებას, ხოლო მხატვრულ სიმართლეში დარწმუნების ძირითადი საფუძველია, ჯერ ერთი, ნაწარმოებში უნდა აისახოს ობიექტური სინამდვილე, ტიპური ხასიათები ტიპურ გარემოში და რაც მთავარია, მხატვრული მოტივირება.

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის 30-იანი წლების პოლიტიკური სიტუაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ პირუთვნელად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ითქვას ქვეყნისათვის საჭირობო საკითხებზე, ლეო ქიაჩელი, როგორც უაღრესად ეროვნული თვითშეგნების მატარებელი მწერალი, „ჰაკი ამბაში“ ახერხებს ქვეტექსტებით გადმოგვცეს ეპოქალური მნიშვნელობის ეროვნული ტკივილი, ხაზი გაუსვას იმ უბედურებას, რაც საბჭოთა რუსეთმა მოუტანა მის ქვეყანას. რად ღირს მის მიერ დახატული რუსული კრეისერ „შმიდტის“ მეთაურის კუზმა კილგას, „მრისხანედ“ წოდებულის სახე.

მწერალი მას გვიხატავს, როგორც არაბუნებრივი ფიზიკური და სულიერი თვისების მატარებელ არსებას, კაცს, რომლის „ერთ ტანზე“ ორი პირისაზე და სამი თვალი ჩანდა. აქ ნათლად იკვეთება, რომ კუზმა კილგა არის არა კონკრეტული პირი, არამედ განზოგადოებული სახე მტრისა, რომელიც დიდ უბედურებას უქადის დამოუკიდებელ საქართველოს.

მწერალი ასევე ნათლად წარმოაჩენს დამოუკიდებელი საქართველოს იმ დროინდელ მესვეურთა უნიათობას, არაპრინციპულობას, მათ უსუსურ და

არაკომპეტენტურ დამოკიდებულებას არსებული რეალობისადმი. გვიხატავს ხელისუფალთ, რომლებიც ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გარკვეულან მიმდინარე მოვლენებში და მოქმედებენ „დრო და ჟამის შესაფერად“.

ნოველის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალური ხაზია უჯუმ ემხასა და ჰაკი აძბას ურთიერთდამოკიდებულების ჩვენება. მკითხველს შეიძლება ერთგვარად გადაჭარბებულადაც და არაბუნებრივადაც მოეჩვენოს მწერლის მიერ დახატული ჰაკისა და უჯუმის ურთიერთობის ამსახველი მომენტები, მაგრამ ლეო ქიაჩელი ამ ფაქტზე ხაზგასმისას წარმოჩნდება, როგორც აფხაზი ხალხის ისტორიული და ყოფითი ურთიერთობების, მისი ტრადიციების უზადო მცოდნე.

უჯუმ ემხასა და ჰაკი აძბას ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები დასაბუთებულია სოციალურ-ისტორიული ასპექტით. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზეთ-სამურზაყანოში, ფართო ხასიათი და შინაარსი ჰქონდა ძუძუმტეობის ინსტიტუტს. ცნობილია ის უშუალო, ახლო ურთიერთობა, რომელიც სუფევდა ძიძიშვილ-ძუძუმტეს შორის. ისტორიული წყაროებით და აგრეთვე ხალხური ზეპირგადმოცემებით დასტურდება, რომ ძიძიშვილი ვალდებული იყო ჭირსა და ლხინში ძუძუმტეს გვერდში ამოდგომოდა, მისთვის თავიც კი გაეწირა თუ ამას ვითარება მოითხოვდა, ამ მომენტისათვის არ შეიძლებოდა ავტორს გვერდი აევლო, მაშინ მხატვრული სიმართლე ნაწარმოების ამ ნაწილში ნაკლებად დამაჯერებელი იქნებოდა.

ასევე ცხოვრებისეული და ყოფითი რეალობით არის მოტივირებული უჯუმ ემხას გადაწყვეტილება ჩაბარდეს მტერს და ამით იხსნას უხუცესი ერისკაცის, ბექირ ჩაჩბას სიცოცხლე. უჯუმ ემხას ქმედების სხვაგვარი დახატვა აუცილებლად აღძრავდა მკითხველში არამართებულობის შეგრძნებას, ვინაიდან ადგილი ექნებოდა საქართველოს ამ კუთხეში (არამართო ამ კუთხეში) აღზრდილი ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელ ყოფითი კრედოსაგან გადახვევას.

ნოველა „ჰაკი აძბა“ არის გაგონილის მხატვრულად წარმოსახვის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, ხოლო მისი ავტორი გვევლინება, როგორც ცხოვრებისეული ფაქტის მხატვრულ სიმართლედ გარდაქმნის დიდოსტატი.

ამდენად, ხელოვნებას და კერძოდ ლიტერატურის ასახვის საფუძველი არის სინამდვილე. ლიტერატურა მით უფრო დიდი და მომხიბვლელია, რაც უფრო მეტი სიმართლით ასახავს რეალობას, რადგანაც მის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს „ჭეშმარიტების გამოხატვა“. ღირებულია მხოლოდ ის რაც სიმართლეს მოიცავს, მაგრამ ლიტერატურაში სიმართლე არ გულისხმობს არსებულის პირისპირ ასახვას, არამედ ცხოვრებისეული მოვლენისა თუ ფაქტის მხატვრულ გარდასახვას, სადაც მხატვრული სიმართლის ერთადერთი საფუძველია ტიპურობა. ყოფითი რეალობის მხატვრულ წარმოსახვას მწერლები სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით ახდენენ, გამომდინარე მათი სუბიექტური მრწამსისა და შეხედულებებისა, ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა მწერალი, თუნდაც ერთი ეპოქისა, ერთი და იგივე მოვლენის თუ ფაქტის, თუნდაც ისტორიულისა, მხატვრულ განსახოვნებას სხვადასხვაგვარად ახდენს.

მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილიდან აღებული მასალის საფუძველზე ზნეობრივი ტენდენციები მხატვრული ნიჭით არის გააზრებული და ამიტომაც მკითხველზე დიდმორალურ და ზნეობრივ ზეგავლენას ახდენს.

ლიტერატურულ ქმნილებაში ყოველი სიტყვა უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია, თიოეულ მათგანს გარკვეული დანიშნულება აკისრია, რომელიც საბოლოო ჯამში ცხოვრებისეული რეალობის მხატვრულ სიმართლედ გარდაქმნას ემსახურება.

#### ლიტერატურა:

1. არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1979 წ. გვ. 161.
2. ლიტერატურის თეორიის საფუძველი, თბ., 1972 წ.
3. ბ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948.
4. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, თბ., 1953 წ.
5. პრ. კეკელიძე, აკაკი წერეთელი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1953 წ.
6. Лессинг, Гамбургская драматургия, М., 1936 წ.

## ARTISTIC TRANSFORMATION OF REALITY

**Joni Margania**

Doctor of Philology, Leading Researcher of the Institute of Georgian Language and Literature named after Professor Otar Churgulia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Sokhumi State University, Researcher of the Peace Educational Center  
E-mail: jmargania@gmail.com

*Presented by the Institute of Georgian Language and Literature named after Professor Otar Churgulia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** Art, and especially its verbal branch - literature, as a form of consciousness is a reflection of reality, but not a direct copying of it, but a fiction transformation.

In a work of fiction, the writer summarizes life. Moreover, the specific basis by which the author imagines reality is fiction, story - „to create without being.“

Artistic imagination and artistic fantasy in general play an important role when a writer sets himself the task of depicting a historical event or a historical person. Artistic fiction gives productions on such topics a shade of truth rather than a real and accurate depiction of events (for example, „Madame Bovary“ by G. Flaubert, „Khaki Adzba“ by L. Kiacheli).

In a work of fiction based on material taken from reality, moral tendencies are comprehended with great artistic spirit and therefore have a great moral and aesthetic impact on the reader.

Each word in the work has an important function and each of them has a specific purpose, which ultimately serves to transform the reality of life into artistic truth.

**Keywords:** *Art, literature, artistic transformation.*

## ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია

იზოლდა ბელთაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-  
აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის  
ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი,  
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: beltadzeizolda@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის  
ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** სტატიაში წარმოდგენილია ჰოლანდიის ქალაქების ჯერ  
ანტვერპენის, ხოლო შემდეგ ამსტერდამის აღზევება, ოსტ-ინდოეთის კომპანიის  
წარმოშობა, მისი საქმიანობა, ჰოლანდიის ინტერესები აღმოსავლეთში, ბრძოლა მის  
კონკურენტებთან: პორტუგალიასთან, საფრანგეთთან და ინგლისთან, მონოპოლიის  
დამყარება, განსხვავება ინგლისის და ჰოლანდიის ოსტ ინდოეთის კომპანიებს  
შორის.

ორივე ინგლისის და ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიები  
გვევლინება, როგორც გემთმშენებლები, ვინაიდან სავაჭრო კოლონიური ექსპანსია  
ორივე ქვეყანაში ხელს უწყობდა საზღვაო ფლოტის განვითარებას. ჰოლანდიის  
ოსტ-ინდოეთის კომპანიას აღმოსავლეთიდან შემოჰქონდა მუსკატი, წიწაკა, მიხაკი,  
დარიჩინი, ცეილონის ჩაი, ყავა და სხვა. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიას  
ჰოლანდიელებისაგან განსხვავებით შეჰქონდა აღმოსავლეთში მაუდის ქსოვილები  
და გამოჰქონდა: აბრეშუმი, ბამბა, პილპილი, მიხაკი, დარიჩინი, ინდიგო, ჯავზი,  
ოპიუმი, რომელთაც ევროპაში ზედმეტ ფასებში ჰყიდდა.

ჰოლანდიის ოსტ - ინდოეთის კომპანიის ყოველწლიური მოგება იყო 50 მლნ  
გილდენი. ინგლისის მოგება კი მარტო 12 ექსპედიციისას შეადგენდა 460 ათას ფუნტ  
სტერლინგს.

საბოლოო ჯამში ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ, რომელმაც შეწყვიტა არსებობა 1796 წელს (მის მონოპოლიას ბოლო მოუღო ინგლისმა), მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მისი გემები მიემგზავრებოდნენ მსოფლიოს ყველაზე შორეულ მხარეებში - ინდოეთში, მალაიზიაში, ინდოჩინეთში. მკაცრად მართავდა თავის კოლონიებს, ანხორციელებდა ფართო სავაჭრო ოპერაციებს, დიდ გავლენას ახდენდა გემთმშენებლობისა და სხვა ინდუსტრიის განვითარებაზე, რაც დადებითად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე.

*საკვანძო სიტყვები: მონოპოლია, სეფარდები, საფონდო ბირჟა, საპაიო.*

ნიდერლანდების გაერთიანებული პროვინციები-ჰოლანდიის რესპუბლიკა იქცა „ადგილად, სადაც პირველად აყვავდა კაპიტალისტური ურთიერთობა, სადაც მოხდა მისი უპრეცედენტო განვითარება ...“ [Braudel F. 1992 : 18–19].

ჰოლანდიელებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს - შექმნეს კოლონიური იმპერია სამ კონტინენტზე, მოზამბიკიდან იაპონიამდე, რომელიც აკონტროლებდა მსოფლიო ვაჭრობას სანელებლებით. ჰოლანდიის დროშის ქვეშ მცურავი გემები მიემგზავრებოდნენ მსოფლიოს ყველაზე შორეულ მხარეებში - ინდოეთში, მალაიზიაში, ინდოჩინეთში. ჰოლანდიელები მკაცრად მართავდნენ თავიანთ კოლონიებს, მარცვავდნენ ყველაფერს, რაც შეეძლოთ, ავრცელებდნენ იქ თავიანთი რელიგიას [Sombart A.Z. Bourgeois W. 2004 : 145].

ამდენად, ჰოლანდია გახდა მთავარი შუამავალი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ამსტერდამი კი იქცა კოლონიური იმპერიის დედაქალაქად.

ამსტერდამის უმდიდრესი ვაჭრები ფლობდნენ ფლოტს, რომელიც გაცილებით დიდი იყო ვიდრე სხვა ქვეყნების: ინგლისის, ესპანეთის და საფრანგეთის. ჰოლანდიელების ფლოტი ასევე გამოირჩეოდა ეკონომიურობით - მათი გემების აგება უფრო იაფი ჯდებოდა და ხარისხითაც უკეთესი იყო, ეკიპაჟი უფრო მცირე შემადგენლობის იყო და შესაბამისად მცირე იყო მეზღვაურების რაოდენობა და მათი შენახვის ხარჯებიც. ჰოლანდიას ახასიათებდა ურბანიზაციის მაღალი ხარისხი - მოსახლეობის დაახლოებით 60% ცხოვრობდა ქალაქებში, ხოლო

ნიდერლანდების სხვა პროვინციებში - კი დაახლოებით 25%. [Sombart A.Z., Bourgeois W. 2004 : 145].

ამსტერდამის მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა 1570–1640 წლებში- 30 ათასიდან 139 ათას 200-მდე. 1700 წელს ამსტერდამში მეწარმეები 8600 ადამიანს შეადგენდა, რომელთაგან უმეტესობა იყო სავაჭრო დუქნების მფლობელები. [Gelderblom O. 2010 :159].

მოსახლეობა ძალიან ჭრელი იყო - მესამედი უცხოელები იყვნენ. განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ესპანეთიდან და პორტუგალიიდან ჩამოსულ ებრაელებს, სეფარდებს, რომლებმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თურქეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რასაც ადასტურებს თურქეთის სულთანის ბაიაზიდ II-ის (1481-1512 წწ) სიტყვები: „ცდება ის ვინც ფიქრობს, რომ ესპანეთის მეფე ფერდინანდი ჭკვიანი იყო. გაასახლა რა ებრაელები თავისი ქვეყნიდან, ამით ზიანი მიაყენა თავის ქვეყანას, ჩვენ კი მოგვიტანა დიდი სარგებლობა“ [Oierbarch.1992:80, Beltadze.I. 2012:128]. ასეთივე სარგებლობა მოიტანეს სეფარდებმა ნიდერლანდებში, რომელთაც მნიშვნელოვანი კაპიტალით აღადგინეს ნიდერლანდების ეკონომიკა და ასევე შემოიტანეს ახალი ტენდენციები სავალუტო ოპერაციებში.

ამსტერდამი გახდა მთავარი სავაჭრო ცენტრი მე-16 საუკუნეში, მაგრამ ამ ქალაქის ნამდვილი აყვავება დაიწყო ანტვერპენის დაცემის შემდეგ. მანამდე ანტვერპენში იმართებოდა სეზონური ბაზრობები საზაფხულო (“Sinkson mart”), საშემოდგომო (“Bamas mart”), საზამთრო (“Cold mart”) და საგაზაფხულო (“Parch mart”). [Beltadze.I.2002 :237] ანტვერპენის აღზევების ისტორიაში სამი პერიოდი იყო. 1501 წლიდან 1521 წლამდე ქალაქი გამდიდრდა პორტუგალური (უფრო ზუსტად, ინდური-ი.ბ.) წიწაკის ვაჭრობით. 1535 წლიდან 1557 წლამდე ლათინური ამერიკიდან ექსპორტირებული ესპანური ვერცხლის ნაკადი გადიოდა ანტვერპენში, ხოლო 1559-1568 წლებში ქალაქის ეკონომიკის მთავარი სავაჭრო საქონელი იყო საფეიქრო ნაწარმი (მაუდი-ი.ბ), რომელიც შეჰქონდა ინგლისს დიდი რაოდენობით. ანტვერპენის დაცემის შემდეგ, როდესაც ანტვერპენის ბევრი ფინანსისტი ამსტერდამში ემიგრაციაში წავიდა, შეიტანა იქ კაპიტალი და დაამყარა ბიზნეს კავშირები. ამაში განსაკუთრებული როლი, როგორც აღვნიშნეთ,

პორტუგალიელმა ებრაელებმა ითამაშა. ამსტერდამმა სწრაფად გადმოიტანა ანტვერპენის ტრადიციული წესები, - კანონმდებლობაში, დაზღვევაში და საფონდო ბირჟის ორგანიზებაში.

ჰოლანდიამ მოიპოვა რა დამოუკიდებლობა, ცდილობდა არ დაემვა ესპანელებისა და პორტუგალიელების ბატონობა ზღვებზე, რომლებიც ძვირადღირებული აღმოსავლური სანელებლებით (წიწაკა, დარიჩინი, მიხაკის ზეთი, მუსკატის კაკალი და სხვა) ვაჭრობას მთლიანად აკონტროლებდნენ. ევროპაში აღმოსავლურ საქონელზე ყოველთვის მოთხოვნა დიდი იყო. სწორედ ამიტომ 1602 წლის 20 მარტს დაარსდა ცნობილი ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანია. ასევე იმ დროისათვის უკვე იყო დაარსებული ბრიტანული ოსტ-ინდოეთის კომპანია (1600 წ), რომლის მიზანი იქ აღმოსავლეთში, პორტუგალიელებისგან, ჰოლანდიელებისაგან განსხვავებით, ინგლისური ქსოვილების შეტანა და იქედან სანელებლების, ბამბის, აბრეშუმის ნედლეულის შემოტანა იყო.

ჰოლანდიის კომპანიას ჰყავდა 70 მენეჯერი, რომლებიც ამავე დროს მისი უმსხვილესი აქციონერები იყვნენ. კომპანიას ჰქონდა ექვსი ოფისი (პალატა) მეტროპოლიის საპორტო ქალაქებში (ამსტერდამში, როტერდამში, ზელანდიაში, დელფტში, ჰორნში და ენხუისენში) და იმართებოდა 17 ვაჭრისგან (დირექტორებისაგან) შემდგარი საბჭოსგან.

1644 წლამდე დივიდენდებს იხდიდნენ ნატურით - იმპორტირებული საქონლით (ძირითადად სანელებლებით), მოგვიანებით - მხოლოდ ფულით. კომპანიის კაპიტალი დაყოფილი იყო წილებად- აქციებად (actien), ხოლო წილის შეძენა ნიშნავდა კომპანიის საქმეებში მონაწილეობის დაწყებას.

ამსტერდამს იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა, რომ შეეძლო აერჩია დირექტორთა საბჭოში 17-დან დან რვა წევრი. კომპანიას უფლება ჰქონდა მთავრობის სახელით, დაედო კომერციული და სამშვიდობო ხელშეკრულებები. ჰყოლოდა საკუთარი სავაჭრო ფლოტი, ჯარი და პოლიცია, მოეჭრა მონეტები. კოლონიებიდან შემოტანილ საქონელს შორის ჰარბობდა სანელებლები. მათზე მაღალი ფასის შესანარჩუნებლად, მკაცრად კონტროლდებოდა მათი შემოტანის რაოდენობა ევროპაში. არ უნდა დაეშვათ ჰარბი რაოდენობით ისეთი საქონლის

შემოტანა, რომელიც დიდ მოგებას ტოვებდა. ასეთი იყო იყო მაგალითად, ბენგალური ოპიუმის და ჩინური ჩაი, იმისათვის, რომ არ გაიფუჭულიყო და ვაჭრობაში ზარალი არ ენახათ.

ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია თავდაპირველად 10 წლის ვადით შეიქმნა. ამ პერიოდში უნდა განხორციელებულიყო მოგების აღრიცხვა, სრული ანგარიშსწორება აქციონერებთან. შემდეგ კომპანიის არსებობა 21 წლამდე გაგრძელდა. მათ გადაეცათ ოფისი ტერნატეში (ინდონეზია), რომელიც იმ დროს მიხაკის ყველაზე დიდი მწარმოებელი იყო. ასევე მათ გადაეცა სავაჭრო პუნქტები ინდონეზიაში: აჩაში, ბანტამში, ბანდას, ჯოჰორისა და პატამის კუნძულებზე.

ჰოლანდიურ კომპანიაში ნებისმიერი უცხოელი, რომელიც თავის კაპიტალს ჩადებდა, შეიძლება გამხდარიყო აქციონერი. კომპანიის კაპიტალის ოდენობა შეზღუდული არ იყო. ხოლო მათგან განსხვავებით, ბრიტანეთის ოსტ ინდოეთის კომპანიაში მხოლოდ ბრიტანელებს შეეძლოთ აქციონერები ყოფილიყვნენ.

მიუხედავად ამისა ჰოლანდიელები მაინც ჩამორჩებოდნენ გავლენით აღმოსავლეთის რეგიონში ესპანეთს, პორტუგალიასა და ინგლისს.

ჰოლანდიის ოსტ ინდოეთის კომპანიის საქმიანობის დასაწყისში, მასში 200-მდე ადამიანი იყო დასაქმებული, ხოლო 1688 წელს - 12 ათასი, აქედან 10 ათასი დაცურავდა გემებით. საერთო ჯამში, კომპანიის ისტორიაში, 1602 წლიდან 1796 წლამდე, დაახლოებით მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული [Moshensky S.Z. 2016: 26-27].

კომპანიის საწყისი კაპიტალი 1602 წელს იყო დაახლოებით 6,5 მილიონი ფლორინი. ოსტ-ინდოეთის კომპანიამ დააარსა სავაჭრო პუნქტების მთელი ქსელი, მათ შორის კეთილი იმედის კონცხზე, სპარსეთში, ბენგალში, მალაკაში (ამჟამად მალაიზიის ნაწილი), ჩინეთში, სიამში (ახლანდელი ტაილანდი), ფორმოზაში (ახლანდელი ტაივანი).

ერთი სიტყვით, ჰოლანდიის ოსტ ინდოეთის კომპანია, გადაჭიმული იყო დასავლეთით კეთილი იმედის კონცხიდან აღმოსავლეთით მაგელანის სრუტემდე.

1669 წლისთვის კომპანია იყო უმდიდრესი. მათ ხელში იყო 150-ზე მეტი კომერციული ხომალდი, 40 სამხედრო ხომალდი, 50 000 თანამშრომელი (მათ შორის

25000 თანამშრომელი აზიაში და 3000 თანამშრომელი ნიდერლანდებში), კერძო არმია შედგებოდა 10 000 ჯარისკაცისგან [Moshensky S.Z. 2016:26].

კომპანია მონაწილეობდა იმდროინდელ პოლიტიკურ დავებში. ასე მაგალითად, 1641 წელს მან დამოუკიდებლად, ჰოლანდიის სახელმწიფოს დახმარების გარეშე, დაამარცხა თავისი კონკურენტები - პორტუგალიელები - დღევანდელ ინდონეზიაში, ამისთვის ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე შეიარაღებული რაზმები შექმნა.

ჰოლანდიის საკუთრება აზიაში გაფართოვდა, მიუხედავად ბრიტანელების მზარდი კონკურენციისა, გაიზარდა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის გავლენა. ეს მისი აქციების ფასის ზრდაზეც აისახა. 1602 წლიდან 1603 წლამდე აქციების ფასი 130%-მდე გაიზარდა. მას შემდეგ, რაც 1605 წელს პირველად გადაიხადეს 15%-იანი დივიდენდები, აქციების კურსი მაშინვე გაიზარდა 140%-მდე (თუმცა პირველი დივიდენდები გადაიხადეს არა ფულით, არამედ საქონლით - წიწაკა). [Moshensky S.Z. 2016:10-12].

ჰოლანდიელებმა საბოლოოდ მოახერხეს ფეხის მოკიდება თანამედროვე ინდონეზიის ტერიტორიაზე. 1602 წელს ბანტამის პორტი, სადაც მათი სავაჭრო პუნქტი მდებარეობდა, მიეკუთვნებოდა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიას. აქ გაიგზავნა სახელმწიფოს და კომპანიის სამხედრო ფლოტი. ერთობლივი ძალისხმევით და ადგილობრივ მმართველებთან კავშირით, ჰოლანდიელებმა მნიშვნელოვნად შეასუსტეს პორტუგალიის პოზიციები.

ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმატებებმა აღმოსავლეთ ინდოეთში ყურადღება მიიპყრო ბრიტანელების, ფრანგების და დანიელების, თუმცა მე-17 საუკუნის ბოლომდე კომპანია მათ წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას.

ინდონეზიისა და მალაიას კუნძულების უმეტესობამ დადო ხელშეკრულებები ჰოლანდიელებთან, რომლებმაც დაიმორჩილეს ყველა ეს სახელმწიფო და მოახდინეს მასზე მონოპოლია. ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია იყო ევროპის მთავარი მომწოდებელი მუსკატის, წიწაკის, მიხაკის, დარიჩინისა და სხვა საქონლის. კომპანიის წლიური შემოსავალი იმ დროს 50 მილიონ გილდერს აღემატებოდა და მისი აქციები ისეთივე მომგებიანი იყო, როგორც სახელმწიფო

ობლიგაციები. კომპანიის სავაჭრო გემებმა თავიანთი ექსპედიციების დროს მიაღწიეს აფრიკისა და ავსტრალიის ნაპირებს.

მე-17 საუკუნეში ამ რეგიონში 1700-ზე მეტი გემი იყო აღჭურვილი და 300 ათასზე მეტი ადამიანი ჩამოიყვანეს და დაასახლეს. კომპანიის გემებს პრაქტიკულად მთელ მარშრუტზე გააჩნდა ახალი პორტები. [Moshensky S.Z. 2016:28-30].

XVIII საუკუნის დასაწყისისთანავე, ჰოლანდიური აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ამის მიზეზი იყო კომპანიის არა ეფექტური მართვა.

ჰოლანდიელებმა ვერ შეძლეს ტაივანში პოზიციის შენარჩუნება. მათ დიდი კონკურენცია გაუწია ბრიტანეთის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ, რომელსაც უკეთესი პოზიციები ჰქონდა. ამ უკანასკნელმა ჩინეთში შეიტანა შალის ნაწარმი. გამოჰქონდა ოპიუმი, რომელიც ბენგალში იწარმოებოდა და მასზე მონოპოლია გააჩნდა.

ბრიტანულმა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ მალე შეიძინა ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, საიდანაც მუდმივად შემოჰქონდა ოპიუმი.

ბრიტანელები ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ ჰოლანდიელთა მონოპოლიისათვის. 1780 წელს ინგლისმა ომი გამოუცხადა ჰოლანდიას და სასტიკად დაამარცხა. ომის შედეგად ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ დაკარგა მილიონობით გულდენი და ასევე სავაჭრო გემები. ერთი სიტყვით, მან დაკარგა სავაჭრო მონოპოლია. შემდეგში იყო მცდელობები ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის დიდების აღდგენისა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა.

1796 წელს ოდესღაც უმდიდრესი კომპანიის ნაციონალიზაცია მოხდა, რის შედეგადაც კოლოსალური დავალიანება დარჩა 100 მილიონი ფლორინის ოდენობით.

ამრიგად, რომ შევადაროთ ერთმანეთს ჰოლანდიის და ინგლისის ოსტ - ინდოეთის საპაიო კომპანიები, მივიღებთ შემდეგ სურათს:

1. ჰოლანდიის კომპანიის საწყისი კაპიტალი შეადგენდა 68 ათას ფუნტ სტერლინგს. შემდეგში კი 6,5 მლნ ფლორინს. ხოლო ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის თავდაპირველი კაპიტალი ერთი მონაცემების

მიხედვით შეადგენდა 30 133 ფუნტ სტერლინგს 6 შილინგსა და 8 პენსს, ხოლო სხვა მონაცემებით 72 ათას ფუნტს [ Ashley D.1890:189] ან 70 ათას ფუნტ სტერლინგს, [Schegolev P.1936: 226]. შემდეგში ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 6 მლნ ფუნტ სტერლინგამდე. ერთი სიტყვით, ორივე კომპანია იყო უმდიდრესი თავისი კაპიტალით.

2. ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წევრი შეიძლება ყოფილიყო ჰოლანდიელებთან ერთად ნებისმიერი უცხოელი. ხოლო ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წევრი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ინგლისელი და არა უცხოელი.
3. ორივე კომპანია ანხორციელებდა კოლონიურ ექსპანსიას, რამაც ხელი შეუწყო საზღვაო ფლოტის განვითარებას ორივე ქვეყანაში. სწორედ ამიტომ, ისინი გვევლინებიან როგორც გემთმშენებლები.
4. ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია ფლობდა 150 ხომალდს. აქედან 40 იყო სამხედრო. XVII საუკუნეში მათი რიცხვი გაიზარდა და შეადგენდა 1700. ინგლისში კი საზღვაო ფლოტის მშენებლობას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. მის განვითარებას ხელი შეუწყო სანავიგაციო აქტებმა (1369, 1381, 1382, 1389,1390, 1489, 1520 წლების), რომელიც გამოიცა რამოდენიმეჯერ [Beltadze-Khinikadze. I. 2012: 29] დედოფალი ელისაბედ პირველის დროს, 1603 წელს ინგლისი ითვლიდა 200-მდე საბრძოლო და სატრანზიტო გემებს [Oltarzhevsky V. P. 1988:54].
5. ჰოლანდიის საზღვაო ფლოტში მსახურობდა 300 ათასი ადამიანი. კომპანიაში თავდაპირველად დასაქმებული იყო 200 -მდე ხოლო მისი არსებობის მანძილზე მილიონობით ადამიანი. ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის საზღვაო ფლოტში კი მსახურობდა 2500 ადამიანი.
6. ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიას აღმოსავლეთიდან შემოჰქონდა მუსკატი, წიწაკა, მიხაკი, დარიჩინი, ცეილონის ჩაი, ყავა და სხვა. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიას ჰოლანდიელებისაგან განსხვავებით აღმოსავლეთში შეჰქონდა მაუდის ქსოვილები და გამოჰქონდა: აბრეშუმი, ბამბა, პილპილი, მიხაკი, დარიჩინი, ინდიგო, ჯავზი, ოპიუმი, რომელთაც ევროპის ქვეყნებში ზედმეტ ფასებში ჰყიდდა.

7. ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ყოველწლიური მოგება იყო 50 მლნ გულდენი. ინგლისის მოგება კი მარტო 12 ექსპედიციისას შეადგენდა 460 ფუნტ სტერლინგს.

ამრიგად, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია, რომელიც დაარსდა 1602 წელს, 1796 წელს დასუსტდა, ვინაიდან ამ დროს კომპანიას არ ჰყავდა ძლიერი მმართველები, როგორც ადრე და მის მონოპოლიას ბოლო მოუღო ძლიერმა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ.

ორივე კომპანიის მიზანი იყო აღმოსავლური საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვა მოგების მიღების მიზნით და კოლონიური ექსპანსია.

საბოლოო ჯამში ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა . მისი გემები მიემგზავრებოდნენ მსოფლიოს ყველაზე შორეულ მხარეებში: ინდოეთში, მალაიაზიაში, ინდოჩინეთში. მკაცრად მართავდა თავის კოლონიებს. ანხორციელებდა ფართო სავაჭრო საქმიანობას, დიდ გავლენას ახდენდა გემთმშენებლობისა და სხვა ინდუსტრიის განვითარებაზე, რაც დადებითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

### ლიტერატურა:

1. Ashley D. An Introduction to English Economic History, London, 1890, p.189. (in English).
2. Braudel F. Material civilization, economy and capitalism, M., Progress, 1992, p.18-19. (in Russian).
3. Gelderblom O. The Golden Age of the Dutch Republic . Princeton: Princeton University Press, 2010, p.159. (in English).
4. Hartman J. An Empire of Trade: Commercial Reason of State in Seventeenth Century Holland. L., 2013, p. 136. (in English).
5. Zombart. A.Z. Bourgeois W. Jews and economic live, M., 2004, p.145. (in Russian)
6. Moshensky S.Z. The birth of financial capitalism. The securities market before the industrial age. Kyiv. 2016 , p.10-30. (in Russian).
7. Oltarzhevsky V. P. The English East India Company in the 18 th. century. Irkutsk.1988, p.54. (in Russian).

8. Oierbarch. M. The history of the Jewish people from the destruction of the First Temple to the present day. St. Petersburg. 1992 , p. 80. (in Russian).
9. Schegolev P.P. Essays on the history of Western Europe in the 18th and 19th centuries. M., 1938 ,p. 226. (in Russian).
10. Beltadze-Khinikadze.I. An Essay on the History of the Jewish People. in the medieval era. Tbilisi. 2012, p. 29. (in Georgian).
11. Beltadze.I. An essay on the history of the economic development of England. Batumi. 2002 p.128-237. (in Georgian).

## DUTCH EAST INDIA BOND COMPANY

**Izolda Beltadze**

Doctor of Historical Sciences, Leading Researcher of the  
Institute of History of the Tskhum-Abkhazian Academy of  
Sciences, Shota Rustaveli Batumi State University,  
Professor  
E-mail: beltadzeizolda@gmail.com

*Presented by the Institute of History of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** The article presents the rise of the Dutch cities, first Antwerp, and then Amsterdam, the origin of the East India Company, its activities, showing the interests of Holland in the East, how the struggle with its competitors Portugal, France and England took place, by what methods it established a monopoly here, what was the difference between England and the Dutch East Among Indian companies.

A member of the Dutch East India Company could have been any foreigner with the Dutch. And a member of the East India Company of England should have been only English and not foreign.

Both companies: East India, England and the Netherlands, act as shipbuilders. Their trade colonial expansion further facilitated the development of navies in both countries.

The Dutch East India Company imported nutmeg, pepper, cloves, cinnamon, Ceylon tea, coffee and more from the East. The East India Company of England, unlike the Dutch, imported Maud fabrics to the East and produced: silk, cotton, pepper, cloves, cinnamon, indigo, nutmeg, opium, which were sold at exorbitant prices in Europe.

The annual profit of the Dutch East India Company was 50 million guilders. England's gain on 12 expeditions alone was 460,000 Pound Sterling.

Eventually the Dutch East India Company, which ceased to exist in 1796 (its monopoly was ended by England), played an important role. His ships sailed to the farthest corners of the world - to India, Malaysia, Indochina. Strictly managed its colonies, carried out extensive trade, had a great influence on the development of shipbuilding and other industries, which had a positive impact on the country's economy.

**Keywords:** *Monopoly, sephardim, stock exchange, currency bank, sapaio.*

## პატიოსანი ესე მონასტერი ახალი ათონისა

ირმა კვაშილავა

ისტორიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი  
ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტის  
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ივანე  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი  
E-mail: irma.kvashilava@tsu.ge

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს  
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** უწინ საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ეკლესია-მონასტრები მრავლად ჰქონდა. ერის ცხოვრებაში კულტურის შემტანი მაშინ სარწმუნოება იყო. XIX ს-ის სამონასტრო ცხოვრება დიდად განსხვავდებოდა განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდისაგან, თუმცა, მონასტრის მთავარი დანიშნულება, როგორც სამზრუნველო სავანისა, არ შეცვლილა. ნაშრომში ასახულია XIX საუკუნის 70-იან წლებში, სოხუმში ნიკოფსიის//ანაკოფიის ადგილას დაარსებული მონასტრის - ამ არაქართული კულტურის კერის დანიშნულება. მას რუსული სახელმწიფოს ხელისუფლების განმტკიცების გარდა, მისიონერული მიზნებიც ჰქონდა. მაგალითად, აფხაზეთი მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დაბრუნებოდა. რაც მთავარია, სოხუმის ახალი ათონის მონასტერში არსებული მკაცრი ტიპიკონი, რაც წესრიგს განაპირობებდა, ძველი ათონის ტიპიკონის მსგავსი იყო. სწორედ ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება გახდა იმ წარმატების საწინდარი, რასაც ახალი ათონის მძლავრმა მონასტერმა უმოკლეს დროში მიაღწია. მათი მოღვაწეობის უანგარობის შეფასება საკვლევი საკითხის მიზანს წარმოადგენდა.

*საკვანძო სიტყვები: ახალი ათონი, სამონასტრო ცხოვრება, ნიკოფსია, არაქართული კულტურის კერა, ტიპიკონი.*

საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ეკლესია-მონასტრები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მრავლად ჰქონდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ სიტყვა მონასტერი ზოგან სოფლის სახელადაც იქცა (მაგ., ხაშურისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში) [1, 13]. როგორც გ. ბოჭორიძე აღნიშნავდა, უძველეს დროს ერის ცხოვრებაში კულტურის შემტანი სარწმუნოება იყო; საკულტო ადგილებში იწყებოდა და ღვივდებოდა შემოქმედება და აქედან ვრცელდებოდა ხალხში. კულტურული ცხოვრების მთავარი მონაწილეები მეფე-ერისთავნი, სახელმწიფო მოხელენი, სასულიერო პირები და სხვა ცალკეული საგვარეულოები იყვნენ [2, 52]. ცხადია, XIX საუკუნის სამონასტრო ცხოვრება ფრიად განსხვავდებოდა განვითარებული შუა საუკუნეების მჩქეფარე პერიოდისაგან. ასე მაგ., თუკი განვითარებულ შუა საუკუნეებში რაჭაში 30 მონასტერი ითვლებოდა, XIX ს-ში მხოლოდ სამი: ჭელიშის, ველევისა და სორის სავანე იყო მოქმედი და ისიც ძველებურ ბრწყინვალეობას მოკლებული, წელთა დადმართზე მიმავალი [3, 9].

ასეთ ვითარებაში, კავკასიაში გამონაკლისს წარმოადგენდა სოხუმის ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის დაარსება. „ის ისტორიულად გამორჩეულ ადგილზე დაფუძნდა, როგორც ხდება ხოლმე წმიდა სავანეების შემთხვევაში“ - წერდა ახალი ათონის აღწერილობაში ტრიფონ ჯაფარიძე, რომელსაც მიზნად დაუსახავს აღნიშნული მონასტრის კეთილსინდისიერებისა და უანგარობის შეფასება [4, 6]. მონასტრის დანიშნულება ყველასათვის გასაგებია და თუ სულხან-საბას განმარტებას გავყვებით, მონასტერი ლათინურია და ქართულად განიმარტება როგორც სამზრუნველო სავანე [5, 502]. საინტერესოა, ვისთვის და რისთვის ზრუნავდა, რა როლს ასრულებდა არაქართული კულტურის კერა საქართველოს ცხოვრებაში - ქვეყნის მთლიანობას და სიმტკიცეს ემსახურებოდა თუ დარღვევას და დანაწილებას, თუ ხან ერთს და ხან მეორეს; ნუთუ მხოლოდ კავკასიაში რუსული სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება და რეგიონის მოსახლეობის გარუსება ამოდრავებდა. ასეც იყო, რადგან რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებლობა იყო სახელმწიფო რელიგია. რუსული მართლმადიდებლობა და ეკლესია წარმოადგენდა

სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს [6, 109]. გავიხსენოთ, რომ საერო ცხოვრებიდან გამდგარი, სრულიად იზოლირებული ისტორიული, პოლიტიკური ცხოვრებისაგან სინამდვილეში არც ახალი ათონი ყოფილა. ბიზანტიის პოლიტიკური ქარტილები ბერთა სენაკებამდე აღწევდა და ათონიც, მართლმადიდებლური ფეოდალური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მემამულე და მიწათმფლობელი არ რჩებოდა გულგრილი იმპერიის პოლიტიკური და სოციალური პერიპეტიების მიმართ [7, 9-10]. რაც შეეხება რუსეთის სახელმწიფოს, XVII ს-ში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. როგორც კანდელაკი წერდა, ბიზანტიის იმპერატორის შვილთან ქორწინების შემდეგ, იოანე მესამემ ბიზანტიის იმპერიის გერბი, - ორთავიანი არწივი გადმოიღო რუსეთის გერბად და თავი მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურად და მფარველად ჩათვალა. ძველსა და ძლიერ მორწმუნე ხალხს ქრისტიანული სამოსელით დაუწყო დაპატრონება. ამის შემდეგ გაჩნდა რუსეთის ტერიტორიაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელზე ტაძრები და მონასტრები [8, 72].

დავუბრუნდეთ შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე აფხაზეთში XIX ს-ში მდებარე ახალი ათონის მონასტერს, რომელიც დაარსდა იქ, სადაც მდ. ფსირცხა//სირცხა ერთვის შავ ზღვას, სოხუმიდან დასავლეთით 20 კერსის მანძილზე. ამ ადგილას უწინ ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი ანაკოფია (შუა საუკუნეების ნიკოფსია) მდებარეობდა. სახელწოდება „ანაკოფია“ აფხაზეთის სოფელ ანუხვასაგან მომდინარეობს, რომელიც ანაკოფიას ჩრდილოეთით აკრავს. იმ მთას, სადაც ანაკოფია მდებარეობდა, ამ სოფლის მოხუცნი დღესაც ანაკვის მთას უწოდებენ [9, 33]. აფხაზეთის ისტორიის მკვლევარნი აფხაზი კოლეგები უფრო შორსაც მიდიან. აფხაზური ხალხური გადმოცემით, ანაკოფიის ციხეს ლეგენდარულ დედოფალს, ნაკოფიას//ნაყოფიას უკავშირებენ - ნაკოფიას ციხე; თან დასძენენ, რომ ამ გვარის აფხაზი წარმომადგენლები, აფხაზეთში სხვადასხვა ადგილას და მათ შორის, ანაკოფიის მიდამოებში ახლაც ბინადრობენ [10, 54]. გასაგებია რიგი ფაქტების უზუსტობის დაშვება, მაგრამ ასეთი სიყალბე?! ეს უკვე მახინჯ ტენდენციად იქცა. პოეზიის ენაზე საქართველო აფხაზურ პოეზიაში ტრადიციას არ ღალატობს - „... ძმობამ დაგიხსნა - აზიდულია დღესაც ფარად ის,

მშობის ძალითვე დაცული ხარ აქ და მარადის“ (შ. ჭკადუას ლექსი „აფხაზეთი“) [11, 170].

ძველი ანაკოფიის ციტადელი კოშკებით ივერიის მთაზე მდებარეობს. ივერიის მთა გუდაუთის მუნიციპალიტეტშია. გადმოცემის თანახმად, აქ ყოვლადწმიდა ივერიის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ინახებოდა და მთის სახელწოდებაც მისგან მომდინარეობს. ანაკოფიის ტაძართან უძველესი დროიდან სახელგანთქმულიაფხაზთა წარმართული სალოცავითაც იყო, რასაც ახლომდებარე სოფელი ანუხვა ადასტურებს. ანუხვას ღვთაებას აფხაზეთში უწინ ეთაყვანებოდნენ [12, 42].

ანაკოფიის აშენება ბერძნებს მიეწერება. ზრუნავდა რა აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაზე, ამ მხარის შემოსამტკიცებლად, იუსტინიანეს დაუარსებია ანაკოფიის საეპისკოპოსო და აუშენებია ეკლესიები [9, 37]. ვ. ფაჩულის აზრით, აფხაზური ლეგენდა ანაკოფიის ციხის მშენებლობას წმ. თამარ მეფეს მიაწერს [12, 50].

საგულისხმოა ის, რომ ჩვენს ქვეყანას ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი საიდუმლოდ დაუკავშირდა ათონის ივერიის ხატის მეშვეობით და აფხაზეთში ივერიის მთის (აფხაზი მკვლევრების მიხედვით, აფსაროსის მთის) არსებობაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. აქაც ლეგენდად თქმული რამ იამბება: თითქოს, ცნობილი ძველი ათონის ივერიის ღვთისმშობელი აფხაზეთის ივერიის მთაზე დაიდებს საიდუმლო ნავსაყუდელს. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აქ იყო საქართველოს ჩრდილო დასავლეთი საზღვარი, მაგრამ უფრო ადრე - X-XI სს-ში ნიკოფსია დასახლებულია როგორც წმიდა მოციქულ სიმონ კანანელის სამარხი, რომელსაც გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიელ პატრიარქთან საუბარში მოიხსენიებს [9, 33].

ბიზანტიური ეპოქის ანაკოფიის ტაძრის ნანგრევებთან, სადაც შემდეგ ახალი ათონის სიმონ კანანელის სახელობის მონასტერი დაფუძნდა, აფხაზებსა და ქართველებში შემონახული გადმოცემით, წმ. მოციქულ სიმონ კანანელის წმიდა ნაწილები ინახებოდა [13, 1]. აღსანიშნავია, რომ ანაკოფიის ტერიტორიაზე 1957-1958 წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა (ხელმძღვანელი მ. თრაფში) ცხადყო, რომ ციხე-ქალაქს 7 ჰექტარი ფართობი ეკავა [14, 141].

ასეთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ადგილი ერგო ახალი ათონის მონასტერს და ვრცლად იმიტომაც შევჩერდი, რომ როგორც ძველი ათონის „მემკვიდრე“ აქაც სულ სხვა რიგის მონასტერი ყალიბდება - წმიდა ათონური, რაც იმას ნიშნავს, რომ ათონის მკვიდრმა უნდა დაივიწყოს ძველი და შეითვისოს ახალი ათონური აზროვნება, რომელშიც უგულებელყოფილია ლოგიკისა და ფიზიკის კანონები, რადგანაც ემყარება დროისა და სივრცის სხვაგვარ განზომილებას. ნივთები აქ განირჩევა არა ფიზიკური ნიშნებით, არამედ იმით, - არიან ისინი ჩვეულებრივნი თუ სასწაულმოქმედნი. ისტორიას აქ ზღაპრები და ლეგენდები ენაცვლება... ლეგენდები ათონურ კანონებს განამტკიცებენ; ისტორიულად, მორალურად ასაბუთებენ ტიპიკონებს... ნათელყოფენ ათონის სიწმინდეს და მის განსაკუთრებულ ღვთაებრივ ხვედრს [7, 28].

ბევრი რამით იყო გამორჩეული სოხუმის ახალი ათონის მონასტერი. მოვლენების თანმიმდევრული აღწერა ამაში დაგვარწმუნებს. ერთ-ერთი სანდო ვერსიის მიხედვით, ახალი ათონის დაარსების ინიციატორი მეფის რუსეთის ხელისუფლება ყოფილა, რომელსაც მიუმართავს საბერძნეთის ცნობილი ათონის რუსი ბერებისათვის, რომ მათ „ამ ველური მხარის გასანათლებლად და მისიონერული მიზნებისათვის,“ აფხაზეთში თვითნებური მონასტრის ე. წ. ფილიალი დაეარსებინათ. მიმართვამ დადებითი შედეგი გამოიღო. XIX ს-ის 70-იანი წლებისათვის (1875 წ.) ჩამოსულმა ბერებმა, სამონასტრო ცხოვრების გასაჩაღებლად მდ. ფსირცხის მიდამოები აირჩიეს; უფრო იმიტომ, რომ გადმოცემით, მოციქული სიმონ კანანელი იქ იღწვოდა და გარდაიცვალა. ამ ადგილს მათ უწოდეს „ახალი ათონი.“ 1877-1978 წწ. რუსეთ-თურქეთის ომმა დროებით ხელი შეუშალა ბერებს, მაგრამ დაიდო თუ არა ზავი, ისინი შეუდგნენ დიდ მშენებლობას. ხელისუფლებამ მათ უბოძა 20 ათასი მანეთი ოქროთი [9, 41-42]. მეფის განსაკუთრებული ბრძანებით, მათ უსასყიდლოდ გადაეცათ მიწის დიდი ნაკვეთი სამი ათას დესეტინაზე მეტი [15, 24], ანუ 42 878 ჰექტარი. ამ მიწის ნაკვეთიდან ვენახს 147 დესეტინა, ბაღ-ბოსტანს - 15 დესეტინა..., სახნავ მიწას 143 დესეტინა დაეთმო. მონასტერს ეკუთვნოდა 500 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ფუტკრის ასეულობით სკა. მოჰყავდათ ციტრუსებისა და ზეთისხილის უხვი მოსავალი. მონასტერი უახლესი ტექნიკით აღიჭურვა, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურით, ვიწროლიანდაგიანი

რკინიგზით, საბაგირო გზით და ა. შ. ირკვევა, რომ ახალი ათონი რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ცენტრად იყო ჩაფიქრებული, ამიტომაც საამისოდ ხელისუფება სახსრებს არ ზოგავდა [16, 72-73]. ის არც იმისთვის ზოგავდა თავს, რომ მონასტრის ისტორიული მისია გაემართლებინა, კერძოდ, შესაძლებლობა ჰქონოდა აფხაზეთის მოსახლეობას ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დაბრუნებოდა. აქ იგულისხმებიან აფხაზები, რომლებიც არიან ჩერქეზების მონათესავე და არავინ იცის ზუსტად მთებიდან როდის ჩამოვიდნენ, მაგრამ დიდი ხანია აფხაზეთში ცხოვრობენ [17, 112; 160].

რუსეთ-თურქეთის ბოლო ომის შემდეგ, აფხაზეთის მოსახლეობა 52 ათასს შეადგენდა. ერთ-ერთი მოგზაურის ჩანაწერების მიხედვით, აქედან 2 ათასი მუსულმანი, ხოლო დანარჩენი ქრისტიანი ყოფილა, მაგრამ სინამდვილეში - კერპთაყვანისმცემელი, ცრუმორწმუნე, ველური, უზნეო [18, 5]. მართლაც, XIII ს-ში კავკასია ბარბაროსების ხელში ჩავარდა, რის შედეგადაც ყოველგვარი წინსვლა შეფერხდა, ხოლო რწმენით - პირველყოფილ წარმართობასაც გასცდა. ამ მხარეს სჭირდებოდა მაცხოვრის მოძღვრებით განათლებული ადამიანები როგორც გამოცდილებით აღჭურვილნი, ისე მუყაითი შრომითა და ლოცვით მოწადინებულნი, შეუპოვარნი მეზრდოლნი. აფხაზეთის ბუნებრივმა სიმდიდრემ და პატიოსანი ადამიანების უხვად დაღვრილმა ოფლმა ახალ ათონში ისე კარგად მოაწყო მეურნეობა (და არამხოლოდ მეურნეობა), რომ უანგარო საზოგადო მოღვაწეებად წარმოჩინდნენ მაშინდელ ფართო საზოგადოებაში, ლამის მთელ რუსეთში და როგორც მათი საქმიანობის თვითმხილველი აღნიშნავდა, ეს თვისებები ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ყოველ ადამიანს განურჩევლად მისი პოლიტიკურ-სოციალური რწმენისა [4, 6].

როგორც არაერთ რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, არც ახალი ათონის მონასტერს მოჰკლებია რუსეთის ხელისუფლების, აგრეთვე, საერო და სასულიერო პირების ინტენსიური ყურადღება. ბუნებრივია, გარეგნული და მატერიალური სიძლიერეც ამ ფაქტორებმა განაპირობა სხვა ზემოთაღნიშნულ მიზეზებთან ერთად. ამავე დროს, ფსირცხის ხეობაში და ისტორიული ანაკოფიის, იდუმალი ივერიის მთის და ზღვისპირა დაბლობზე გაშენებულმა მონასტერმა, შავი ზღვის წყალობით, ჰარმონიული პანორამა შექმნა და არამხოლოდ კავკასიის,

არამედ რუსეთის სამონასტრო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. ზოგიერთი ავტორი, კავკასიის შავიზღვისპირეთის შეუდარებელ სილამაზეს შვეიცარიასა და იტალიაზე მაღლა აყენებდა, იმდენად მრავალფეროვანია აქ ბუნება [19, 140].

უჩვეულო გზებითა და საშუალებებით, ხელოვნურად ვითარდება მოვლენები ჩვენს ირგვლივ, და დღეს, როგორც არასდროს ისევ სჭირდება აფხაზეთს მზრუნველი ხელი. ახალი ათონის მსგავს მონასტერს კვლავაც ისურვებდა იქ კეთილისმყოფელი. ამიტომ ქართველებსაც მისცემოდეთ შესაძლებლობა საკუთარ სამშობლოში კულტურის კერების მშენებლობისა, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულ მიმდევრებს.

მნიშვნელოვანია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ნეტარხსენებული იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელის პასუხი (აფხაზეთი მაშინ მას ექვემდებარებოდა), რომელსაც მთავრობა შეეკითხა - აქვს რაიმე საწინააღმდეგო თუ არა აფხაზეთში, მდ. ფსირცხის// სირცხის ნაპირზე ძველი ათონის ბერებმა მონასტერი დააარსონო? ყოვლადსამღვდელო გაბრიელმა ამ შეკითხვაზე ასეთი პასუხი გაგზავნა: „მონასტრის დაარსების წინააღმდეგი არა ვარ და ჩემი მხრიდან ხელს არ შევუშლი, მაგრამ იმ პირობით ვთანხმდები, რომ ბერებმა თავისი საქმე აკეთონ და სხვა ინტერესებს არ ემსახურონ“-ო [4, 10]. ამ მოკლე, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი დიალოგის გარდა, არსებული წყაროების მიხედვით, ქართულ მხარესთან სხვა არანაირი შეხება სოხუმის ახალი ათონის მონასტერს არ ჰქონია.

რამდენიმე წელი შენდებოდა და მშვენიდებოდა ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსი. რა და როგორ გაკეთდა, ბევრი რამ ისედაც საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ მონასტრის უმთავრეს წმ. პანტელეიმონის, სასწაულმოქმედისა და მკურნალის სახელობის ტაძარში ხუთი სამწირველო ჰქონდათ, ძვირფასი და წმიდა ნივთებით, პეტერბურგიდან მოწვეული საუკეთესო მხატვრების ნამუშევრებით შემკული. ეკლესიების გვერდით უზარმაზარ შენობაში, საკუთარ სენაკებში 400 ბერი იყო განთავსებული. საბინაო ოთახების გვერდით, ერთ შენობაში საავადმყოფო და აფთიაქი ფუნქციონირებდა, რომელსაც ბერები განაგებდნენ. აქვე მდებარეობდა სამხატვრო სახელოსნო, სადაც მსურველებს უსასყიდლოდ ასწავლიდნენ მხატვრობას. ეკლესიის ეზოში ფრიად

ლამაზი, ჯვრის ფორმის შენობა ე.წ. „სამმო“, სატრაპეზო იყო, სადაც 300 ბერი სადილობდა, ხოლო აღდგომის პირველ დღეს, მთელი მონასტრის ბერობა იქ ერთად იხსნილებდა.

ქვემოთ, შავი ზღვის პირას 8 დიდი შენობა ჰქონდათ აგებული, მათ შორის ორი დიდი ორსართულიანი სასტუმროდ იყო მოწყობილი, ძვირფასად „პირველხარისხოვანი“ სტუმრებისათვის და უფრო დაბალი ღირსების - „მეორეხარისხოვანი“ სტუმრებისათვის. სასტუმროებთან არსებული ორი დიდი სასადილო ორას-ორას კაცს ისტუმრებდა ხოლმე. აქაც ეკლესია, ბერთა საკუთარი სენაკები და სატრაპეზო იქცევდა ყურადღებას. აღნიშნულ ეკლესიაში ბერები რიგ-რიგობით ყოველდღე ასრულებდნენ წირვა-ლოცვას. ტიპიკონის თანახმად, ცისკარი ნაშუალამევს - 2 საათზე იწყებოდა და წირვა გათენებისას მთავრდებოდა. ტიპიკონიც ძალიან საგულისხმოა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ეკლესიის ზემოთ არსებული ორსართულიანი შენობა, სადაც სკოლა - იგივე „პანსიონი“ იყო გამართული ჩამომავლობით აფხაზი ბავშვებისათვის. სკოლა ყოველმხრივ მონასტრის ხარჯზე იმყოფებოდა, თუმცა ერთი პერიოდი მონასტრის წინამძღვარს სოხუმის ქალაქის გამგეობისათვის წინადადებით მიუმართავს - ჩაიბარეთ სკოლისა და „პანსიონის“ მოწყობილობა, წაიყვანეთ ეს 30 ბავშვი და წლიურად თითოეულში 200 მანეთს მოგცემთ. ამ წინადადებაზე ქალაქის გამგეობას უარი განუცხადებია. რა მოსაზრება ამოძრავებდა მონასტრის წინამძღვარს - აქრიმანდრიტ იერონს, სკოლა უშლიდა თუ არა ხელს ბერების შინაურ ცხოვრებას, ან რაიმე სახის წესრიგს მხოლოდ მან იცოდა, რომელსაც თურმე, ბევრი საიდუმლო ჰქონდა შენახული [4, 10-14].

XIX ს-ის 80-90-იან წლებში, როცა საქართველოში მასიურად დაიწყო საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოღვაწეობა, გელათის მონასტერშიც დაარსდა სკოლა, რომელიც დამოუკიდებელი ცხადია არ ყოფილა. მონასტრის წინამძღვრის დადებული ფიცის შინაარსიდან ჩანს (1854 წ. მარტი) - აღნიშნავს გ. კეზევაძე, - თუ როგორ უნდა ემოღვაწა მონასტრის მომავალ წინამძღვარს, რომლისთვისაც ღმერთისა და იმპერატორისადმი ერთგულება და სამსახური გათანაბრებული იყო [20, 145].

თემიდან გადახვევად თუ არ ჩაითვლება, მოგვაგონდა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, სადაც XI ს-ში ტაოელმა ქართველმა - გრიგოლ ბაკურიანის ძემ თავის დაფუძნებულ მონასტერში სკოლაც დააარსა, სადაც ექვსი ახალგაზრდა სწავლობდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო საეკლესიო მსახურებისათვის. მოსწავლეები საკვებს და სამოსს მონასტრისაგან იღებდნენ. სწავლის დასრულების შემდეგ, ღირსეულნი ეკლესიის მსახურები ხდებოდნენ [1, 18]. რასაკვირველია, დრო და სივრცე ახალი ათონისა და პალესტინის მონასტრებისათვის ფრიად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მონასტრის, როგორც განმანათლებლის დანიშნულება, ზედროული რჩება. შორეული პარალელი, რომელიც ახალ ათონში უპოვარი აფხაზი ბავშვების საკვირაო-სამრევლო სკოლას მოჰყვა, იმით დამთავრდა, რომ აღსაზრდელებისაგან ღვთისმსახურთა ნაცვლად, ნესტორ ლაკობა, ვასილი აგრბა, ეგნატე ვარდანია და სხვა აქტიური რევოლუციონერები გამოვიდნენ [21, 10].

ცხადია, რუსეთის ცარიზმი, კავკასიაში პოზიციების განმტკიცების შემდეგ, შავიზღვისპირეთში საეკლესიო კოლონიზაციას შეუდგა და ამ საქმეში ათონის პანტელეიმონის სახელობის რუსული მონასტრის ბერები მოიშველია. მთავრობის უხვი სუბსიდიების წყალობით, მათი ჩანაფიქრი - ახალდაარსებული მონასტერი რუსული სახელმწიფოსა და ეკლესიის ბანაკი ყოფილიყო კავკასიაში, წარმატებით შესრულდა [12, 19,23; 16, 73]. არც ის ფაქტორია უმნიშვნელო, რომ ახალი ათონის მონასტერს მატერიალურად უნდა გაემდიერებინა საბერძნეთის ათონი დამართლაც, შემოსავლის დიდი ნაწილი ძველ ათონში იგზავნებოდა [12, 24; 4, 9]. წვრილი და მსხვილი შემოსავალი შედგებოდა შინაური ფრინველისა თუ საქონლის, მრავაფეროვანი სუვენირების, საოჯახო ავეჯის, სურსათის, ძვირფასი ხის ჯიშების, ბაღჩეულის, ხეხილის ნაყოფისაგან და სხვადასხვა ორიგინალური ნივთებისაგან. მათ შორის იყო რჩეული მასალისაგან დამზადებული ნავეები, რომლებიც სადურგლო სახელოსნოებში მზადდებოდა. გარდა ამისა, „კასპიის ზღვაზე ახალი ათონის მონასტერს მოზრდილი თევზის საშენები ეკუთვნოდა“ [16, 76]. აფხაზეთის ასრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ცნობით, მათ შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებზე თევზჭერის მრავალი სარეწაო ჰქონდათ მოწყობილი, რომლებიც წლის განმავლობაში მონასტერს 50 000 მანეთზე მეტ შემოსავალს აძლევდა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მეთევზე მუშების რიცხვის ზრდას [22, 33].

მონასტრის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს რიცხვმრავალ მლოცველთა შესაწირავი წარმოადგენდა. არც მონასტერი რჩებოდა ვალში, ვინაიდან წესად იყო დადებული, რომ ყოველ მიმსვლელს ბინა ეძლეოდა და სამი დღის განმავლობაში ხარჯი ისეთივე ჰქონდა, როგორც საზოგადოდ, ბერებს: დილა-სადამოს ჩაი და პური, 12 საათზე სადილი და 7 საათზე ვახშამი. სადილ-ვახშმად ორი თავი სამარხვო შეჭამანდი და ღვინო; უქმე დღეებში - თევზი. ადვილი წარმოსადგენია, რა ხარჯი ჰქონდა მონასტერს ზაფხულობით, როცა ყოველდღე დაახლოებით 1200-მდე ადამიანს ისტუმრებდა. რაც შეეხება ხორცეულობას, აქ ყოვლად შეუძლებელი იყო არათუ თვითონ ბერებისთვის, არამედ სხვისთვისაც მიეცათ საზრდოდ [4, 26,34]. ბერების რიცხვმა, რომლებიც ერთდროულად ცხოვრობდნენ მონასტერში, მალე 700-ს მიაღწია [19, 157]. ისინი განუხრელად იცავდნენ თვითმპყრობელობის რუსიფიკაციის პოლიტიკას კავკასიის რეგიონში [15, 25]. ტრ. ჯაფარიძის პოპულისტური ნაშრომის თანახმად, 700 ბერიდან, ჩამომავლობით ყველა რუსი, იყო უსწავლელი, ანუ შინაური მონასტრული განათლება ჰქონდათ მიღებული, თითო-ოროლა გამოწაკლისის გარდა. ღვთისმსახურება ყოველთვის სრულდებოდა დღე და ღამე. შუა ღამის ლოცვა ყველასათვის სავალდებულო იყო, დღისით კი - მორიგეობით. მონასტერში მუდმივად სამი მაღლობელი გუნდი იყო საკუთარი რეგენტების ხელმძღვანელობის ქვეშ [4, 33]. ბერების შინაგანაწესზე, როგორც ათასწლოვანი ათონის უნაკლო ტიპიკონის დამცველებზე, ვერაფერს იტყვის ვინმე, ის შესწორებას არ საჭიროებს. დავსძენ მხოლოდ იმას, რომ უცხოეთში ქართველების მიერ დაარსებულ მონასტრებს ყველგან დამოუკიდებელი მმართველობა ჰქონდათ, თუმცა რა წვალეა, სივიწროვე და ნაკლოვანება გამოიარეს მხოლოდ ღმერთმა იცის. წყაროებმა ნაწილობრივ შემოინახეს ამ ფაქტორის ამსახველი მონაცემები. კერძოდ, გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ივერიის მონასტრის ბერებმა ძალასაც მიმართეს ქართველთა ძმობის წინააღმდეგ და ნებას არ აძლევდნენ მათ მოეხმარათ შეშა და წყალი, ან შეეკეთებინათ დაზიანებული შენობები. „თუმცა რუსეთის მთავრობამ სამუდამოდ შეიწყნარა ქართველთა სავანე 42 ბერით და ივერიის მონასტრის ოცი ათასი თუმნის რუსეთიდან შემოსავალისაგან სამასი თუმანიც განუწესა, როგორც დახმარება დავის გადაწყვეტამდის. ოსმალეთის მთავრობისაგანაც ბევრჯერ მოუვიდა ბრძანება აქაურ მმართველობას „არ შეეხოთ ქართველ ძმობასო,“ მაგრამ

ყოველივე ცდა დროებითი აღმოჩნდა“ [23, 3]. კიდევ ერთხელ დავიმოწმებ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონს, ვინაიდან ერთადერთი წესდებაა ჩვენამდე რიგიანად, სრული სახით მოღწეული. მის დამფუძნებელს, ნეტარხსენებულ გრიგოლს აუკრძალავს ბერძნების მონასტერში დამკვიდრება, გარდა ერთი მწერლისა, რომელსაც მიწერ-მოწერა უნდა ეწარმოებინა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ეს იმით დაუსაბუთებია, რომ ბერძნები შურიანი ხალხია და ვაითუ ხელთ იგდონ ქართველების სავანეო. წინამძღვრის შიში გამართლდა და შემდგომ ბერძნებმა მართლაც ჩაიგდეს ხელში ქართველების ეს მონასტერი [1, 18].

სოხუმის ათონის მონასტერი 1924 წელს დაცარიელდა და ახალი ადმინისტრაციის დაარსებამ კურორტ „ფსირცხას“ კეთილმოწყობას დაუჭირა მხარი. მონასტრის შენობის ნაწილი 1959 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალად გამოცხადდა. სამონასტრო მეურნეობის ბაზაზე ააგეს ახალი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, ტურისტული ბაზა, რომელსაც ახალი ათონის სახელი შერჩა. ახალი ათონის, როგორც ტურისტული ცენტრის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სპელეოტურიზმის უდიდესი ბაზის შექმნასთან, რომელმაც კავკასიის შავიზღვისპირეთში ულამაზეს მიწისქვეშა ახალი ათონის მღვიმურ კურორტს გაუთქვა სახელი.

ასეთია ისტორიული ანაკოფიის, ივერიის მთის, ახალი ათონის მიწისზედა და მიწისქვეშა სავანის მოკლე მოკვლევა, რომელიც ამჟამად უხილავ ნაკრძალად მოიაზრება.

#### ლიტერატურა:

1. შანიძე ა., თხზულებანი 12 ტომად, თბ., 1986, ტ. IX.
2. ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.
3. გობეჯიშვილი ვ., რაჭის მონასტრები, თბ., 2006.
4. ჯაფარიძე ტრ., ახალი ათონი, ქუთაისი, 1912.
5. ორბელიანი ს-ს., ლექსიკონი ქართული, თბ., 1991, ტ. I.
6. Dudnev, V., Folk Rituals, Church Rituals, L., 1982 (Russian).
7. ალექსიძე კ., ათონი ათასწლოვანი, თბ., 1982.

8. კანდელაკი ბ., ვალდაის ივერთა მონასტერი, „მეგლის მეგობარი“, თბ., 1974, კრ. 36.
9. ბერულავა კ., აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1951.
10. Essays in the History of the Abkhaz ASSR, Sukhumi, 1960, part 1 (Russian).
11. საქართველო აფხაზურ პოეზიაში, შრომათა კრებული, თბ., 2010, ტ. 2.
12. Pachulia V., New Athos, Sukhumi, 1973 (Russian).
13. Latishev I., On the History of Christianity in the Caucasus, St. Petersburg, 1911 (Russian).
14. საქართველო, ენციკლოპედია, თბ., 1997, ტ. 1.
15. Verbitski, N., Resort Psyrtscha, Tiflis, 1925 (Russian).
16. კიკნაძე ვ., ახალი ათონი - რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის დასაყრდენი ამიერკავკასიაში, ჟურ. „ლოგოსი“, თბ., 2003, N 1.
17. Abkhazia and in it the New Athos Simono-Kananitsky Monastery, is dr. up I. N., Moscow, 1899 (Russian).
18. New Athos Simono-Kananitsky Monastery, Odessa, 1888 (Russian).
19. Vasiukov S., Land of Proud Beauty, Caucasian Black Sea Coast, St. Petersburg, 1903 (Russian).
20. კეზევაძე გ., გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს (დისერტაცია ისტორიის დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად), თბ., 2005.
21. New Athos Panteleimon Cathedral, Sukhumi, 1977 (Russian).
22. გიორგაძე ბ., მუშათა კლასის ჩამოყალიბებისათვის აფხაზეთში, ა. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, სოხუმი, 1962, ტ. XV.
23. გაზეთი „ივერია“, ტფ., 1899, N 220.

**THIS NEW HONEST MONASTERY OF NEW ATHOS  
(AKHALI ATONI)**

**Irma Kvashilava**

Doctor of History, Senior Researcher of the Institute of  
Ethnology named after Academician Giorgi Chitaia of the  
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Senior  
Researcher of the Institute of History and Ethnology,  
Tbilisi State University  
E-mail: irma.kvashilava@tsu.ge

*Presented by the Institute of Ethnology named after Academician Giorgi Chitaia of the  
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** Royal government of Georgia had numerous churches – monasteries in the past. At that time, belief was a bringer of culture in the people's life. Monastery life of XIX century is greatly different from the period of developed middle centuries, however, main purpose of monastery as monastery shelter was not changed. The most important is to make it exact for whom and what did "New Athos Monastery established on the former territory of Nikopsia" – center of non-Georgian culture, Anakopia, Sokhumi cared. Despite of strengthening the Russian state power in the region, it is clear it had missionary purposes too. Namely, to make Abkhazia back to Orthodox Christian faith. Above mentioned monastery had typicon similar to Old Athos (Dzveli Atoni), which used to determine order. Exactly long-term practical experience became a guarantee of success that the powerful monastery of New Athos (Akhali Atoni) achieved in the shortest time. It left an important trace in monastery life of Russia. Purpose of the research question was evaluation of disinterestedness of their work for public good.

**Keywords:** *New Athos, monastery life, nikopsia, center of non-georgian culture, typicon.*

## მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები

(გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

**ნინო ხარჩილავა**

ისტორიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი

ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სსიპ - ბათუმის

ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო

პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი

E-mail: kharchilavanin@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** ძირითადი მასალა, რომელიც საფუძვლად უდევს მოხსენებას, ჩვენს მიერ თანამედროვე გალის რაიონის რამოდენიმე სოფელშია მოპოვებული, სადაც ყურადღება გამახვილებულია თუ რა ცვლილებები განიცადა მიცვალებულთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა, კულტურული ვითარების ზეგავლენით, ისტო-რიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია კულტურის ისტორიის, მათ შორის აზროვნების სფეროში შემუშავებული საკითხების არა მხოლოდ ინტერდისციპლინური, არამედ რეგიონთ-შორისი კვლევა. ასეთთა რიგს განეკუთვნება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საკითხებიც, რომელთა შედარებითი განხილვის ნიმუშია ქვემოთმოყვანილი თანამედ-როვე გალის რაიონში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალები.

*საკვანძო სიტყვები:* ეთნოგრაფიული გალი, მიცვალებული, მტრედი, კელაპ-ტარი.

მიცვალებულთან დაკავშირებულ საწესჩვეულებო მასალის მიხედვით, გალის რაიონში მიცვალებულის დაკრძალვას წინ უსწრებდა მოსამზადებელი პერიოდი.

გარდაცვალება ტრაგიკულ მომენტად აღიქმებოდა, თუმცა მაშინვე იწყებდნენ თადარიგს, რომელიც მთელი რიგი სხვადასხვა სახის საკითხების გათვალისწინებას გულისხმობდა.

მომაკვდავთან ოჯახის წევრები და რამდენიმე ადამიანი რჩებოდა, მომაკვდავ ადამიანს ანთებულ სანთელს ხელში ჩაუდებდნენ და კარ-ფანჯრებს აღებდნენ, რომ მიცვალებულის სული სახლიდან დაუბრკოლებლად გასულიყო. გარდაცვლილის ოჯახში მიცვალებულის გამჟატიოსნებელი - **მარწკინალი** [28, 224] მოდიოდა, რომლის ფუნქციას ოჯახის წევრი ან მეზობელი ასრულებდა. მარწკინალი თვალს უხუჭავდა, ყბას აუკრავდა, ფეხებს (ტერფებს) შეუკრავდა, ტანსაცმელს ჩააცმევდა, მოაწესრიგებდა.

თედო სახოკიას ცნობით, „სული პირიდან რომ გამოვა“, კაცი კვდება - „დოღურუ“ გარდაიცვლება, რაც წარმოებული უნდა იყოს ზმნა **ღვრა**-საგან, დაიღვრა, სითხედ იქცა [21, 119]. სიკვდილი - **ღურა**, ხოლო გარდაცვლილი - **ღურელ**. მიცვალებულზე იტყოდნენ **დელუ** - დაილია, **მედინ** - დაიკარგა, **მიშვანდ** - დაისვენა, რომელიც ემყარება დასვენებას. დასვენების ერთ-ერთი საშუალება კი ძილია და სიკვდილსაც ხანგრძლივ ძილად აღიქვამენ. მომაკვდავ ადამიანზე იტყოდნენ - **მუმ შარას გერე/გილარე** - თავის გზას ადგას//დაადგა, რაც მომაკვდავის შესატყვისია ანუ მგზავრია, რომელიც მიგვანიშნებს, რომ სულთმოზრმავი სამზეოდან კი მიდის, მაგრამ არ კვდება და მხოლოდ სხვა სამყაროში ინაცვლებს, საიქიოს მიმავალი მგზავრია. გარდაცვალება არ ნიშნავს სიცოცხლესთან სამარადჟამო გამოთხოვებას, არამედ ადამიანის ახალ თვისობრიობაში გადასვლაზე (ცვალებადობაზე) მიგვითითებს.

სულთმოზრმავი ადამიანის მდგომარეობის შესამსუბუქებლად და სულის მალე გაყრის მიზნით გალის რაიონში დავაფიქსირეთ შუბლზე უღლის დარტყმის ჩვევა [1], რაც რესპოდენტებმა ახსნეს, სიცოცხლეში თუ უღელი ჰქონდა დამწვარი, მაშინ გაუჭირდებოდა სულის მიცემა, ამიტომ დღესაც ერიდებიან უღელის დაწვას - ვაშინერს. საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება მომაკვდავთან უღლის გამოყენების ჩვეულება [26, 156; 32, 60].

ადგილობრივთა რწმენა-წარმოდგენებით, საიქიო - **ოშურე** - სულისთვის განკუთვნილი ადგილია, ხოლო **ოშურეთი** [28, 460] - სულეთი. საიქო სააქაოსგან

გამიჯნულია წყლით და საიქიოში მოსახვედრად გარდაცვლილ სულს უნდა გადაელახა ბევრი დაბრკოლებები ადუღებული კუპრის მდინარის სახით, რომელზეც ბეწვის ხიდი იყო გადებული და მოესყიდა ზღურბლის მცელი, რომელიც „ბაჟს“ იღებდა [2, 11]. გალის რაიონში დღესაც ფიქსირდება ნათლიას მიერ მიცვალებულისთვის კუბოში ქამრის ჩაყოლების წესი, და ფიქრობენ რომ მდინარეზე გადასვლის დროს დაბრკოლების გადასალახავად ეს ქამარი გამოადგებოდა. მიცვალებულს მიუხედავად ქრისტიანული წეს-ჩვეულებების მიხედვით დაკრძალვისას აუცილებლად ხელში ფულსაც ჩაუდებდნენ და ახლო ნათესავებიც გასვენების დღეს გამოთხოვებისას მიცვალებულს ფულს ჩუქნიდნენ, რომელიც მეზაქესთვის უნდა გადაეხადა. ერთდროულად ვხვდებით, რომ მიცვალებულს ხელში ჯვარი და ფული ერთად აქვს ჩადებული [1].

ადამიანის გარდაცვალებისა და ოჯახის მიერ შეცხადების შემდეგ, ოჯახის უფროსი გამოყოფდა პიროვნებას - **მაგინაფალს**, იგივე შემტყობინებელს, რომელსაც შორს მცხოვრები ნათესავებისთვის უბედური ამბის და დაკრძალვის თარიღის შეტყობინება ევალეობოდა. მაგინაფალს არ გაუშვებდნენ იმ ოჯახში, სადაც არ შეიცხადებდნენ.

სანამ მიცვალებული სახლში იყო, ჭირისუფლებისთვის საკვები რიგის მიხედვით მეზობლად მცხოვრებ ნათესავებს და მეზობლებს მიჰქონდათ. მეზობლები და ახლო ნათესავები ოჯახს ყველანაირად ეხმარებოდნენ. დღემდე არსებობს **სადილიშ მინოღალა** - სადილის შეტანა. ეს იყო გარდაცვლილის ოჯახში მეზობლებისგან მიცვალებულის გასვენებამდე ჭირისუფალისთვის სადილის მიტანის წესი.

გასვენებამდე მიცვალებულის დატირებას - **გილანგარა//გიწონგარა** ეწოდებოდა. მიცვალებულის გასვენების დღეს **ფაშატურში** - ფანჩატურში დაასვენებენ. ეს არის ეზოში გამართული დიდი ფართობის გადახურული ნაგებობა (ერთჯერადი) რომლის მარჯვენა კუთხის სიღრმეში მიცვალებული ასვენია.

მიცვალებულის გამოსვენებისას ზნეობრივ ნორმადაა ქცეული ფეხზე წამოდგომის ჩვეულება. გამოსვენების დროს ოჯახში ყველა დიდი და პატარა ფეხზე უნდა წარმოდგარიყო, თუ ბავშვს ეძინა, მასაც გააღვიძებდნენ, ავადმყოფს წამოაყენებდნენ რამოდენიმე წუთით. ეს ჩვეულება თ. ოჩიაურის აზრით, ემყარება მაგიის პრინციპს (არ დაემსგავსონ მიცვალებულს), რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებშიც

ფიქსირდება [20, 27]. საფიქრებელია, რომ ამ ჩვეულებას, ისევე როგორც მიცვალე-ბულის წინაშე ქუდის მოხდას (მგლოვიარე კაცები უქუდოდ დადიან), თან ვინც ტირი-ლში მიდის მიცვალეზულთან უქუდოდ შედის, ხოლო ქუდისთვის (სხვა ნივთების-თვისაც) ეზოში სპეციალურად განკუთვნილი მაგიდა დგას.

ადამიანის გარდაიცვლებისას იკრძალება ბევრი საოჯახო თუ სასოფლო სამუშაოები. არ შეიძლება - **ვაშინერს** „დიხაშ ნჭყოლუა“ - მიწის დამუშავება. მაგრამ თუ მიცვალეზულის ოჯახსა და სხვა ოჯახებს შორის მდინარე ან ღელე ჩამოუდის, მაშინ მკაცრად არ იცავენ ამ ჩვეულებას. **ნჭყოლუა** ნიშნავს დაჭრას [28, 413]. ამიტომ სოფელში მიცვალეზულის დამარხვამდე განსაკუთრებით მიწის დამუშავება იკრძალებოდა.

საქართველოს სხვა კუთხეებში მიცვალეზულის დაკრძალვის დღეს, ტრადიციულად, დაქვრივებული (ქალიც და კაციც) იმოსებოდა საქორწილო თეთრი ტანსაცმლით [36, 77; 10, 94; 14, 73] ან მიცვალეზულის საქორწინო და დასაკრძალავად ერთი და იგივე სამოსი გამოიყენებოდა [9, 181]. ეთნოგრაფიული მასალებით გალის რაიონში ვერ დადასტურდა დაქვრივებული მეუღლის საქორწინო სამოსში გამოწყობა, მაგრამ დასტურდება დასაოჯახებელი ან გასათხოვარი ახალგაზრდის საქორწინო სამოსში გამოწყობა და საქორწინო ატრიბუტების გამოყენება სამგლოვიარო პროცესიაში (მაგ: ეზოში სადედოფლოდ მორთული ავტომანქანა შავი ლენტებით, სადაც მიცვალეზულის სურათია მოთავსებული) [1]. ასევე გასათხოვარი ქალის სადედოფლო კაბით შესუდრვა და დაკრძალვა. საერთოდ კი, აუცილებლად ითვლებოდა მიცვალეზულისათვის ჯვარნაწერი და ნათლობის რაიმე ნივთის ჩატანება.

სამგლოვიარო სამოსის ფერი გალის რაიონში ძირითადად შავი იყო, თუმცა გლოვის სიმძიმის შესაბამისად, სხვა ფერებსაც იყენებდნენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ისე ეთნოგრაფიული მასალებით მგლოვიარეთა თეთრი სამოსით შემოსვა არ დადასტურდა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში იყო მიღებული [10, 93; 11, 125; 23, 60]. გლოვის სიმძიმის შესაბამისად სამგლოვიარო სამოსი შავი და თალხი იყო. შავი ფერით ღრმა გლოვას გამოხატავდნენ, ხოლო თალხით შედარებით იოლს. შავი ფერი ხაზს უსვამს მგლოვიარის განწყობილებას, რომელიც ასოცირებულია შავეთთან. გალში სამგლოვიარო სამოსის გავრცელებული ტერმინებია: „ძანძა“ ძანძა, „ჭკირილ უჩა“ - დაჭრილი შავი, „ჩხვიჩვილ უჩა“//„ძენძილ უჩა“ - ფესვებჩამო-

შლილი შავი, „უჩა მიკაქუნალი“ - შავი ჩასაცმელი, „ონწერალი“ - სამწარო, „თარხი“ - თალხი. გლოვის სიმძიმე განსაზღვრავდა სამგლოვიარო სამოსის ტიპსა და მისი ტარების ხანგრძლივობას. სამგლოვიარო სამოსი ოჯახში იკერებოდა, რომელსაც **უჩაშ ჭკირუა** - შავის გაჭრა ეწოდებოდა. ოჯახის წევრები ძაძების შეკერვის შემდეგ ნარჩენი შავი ქსოვილის ნაჭრებით სახლის აივნის ძელებს და სახლთან ახლო მდგომ ხეებს გლოვის ნიშნად მორთავდნენ. ეს წესი სამეგრელოშიც ფიქსირდება [30, 168].

ძველად გასვენების დღეს გალის რაიონში ეზოში მიცვალებულისადმი მიძღვნილ რიტუალებში, სოლარული ღვთაების ზოომორფული ხატება და დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი ცხოველები ხარი და ცხენი ფიგურირებდა. რაც მეტყველებს ღვთაებასთან მიცვალებულის წილნაყრობასა და მიახლოებაზე. რაც საქართველოში სხვა კუთხეებშიცაა დამოწმებული [21, 131; 14, 11-14]. თანამედროვე გალის რაიონში გასვენებამდე ჭირისუფალს რამოდენიმე ახლო ნათესავი ან ნათელმირონით ოჯახთან დაკავშირებული პიროვნება ეტყვის, რომ **კილეშ განწყუმუს** - მკლავის გახსნის, **ჟარნეჩის** - ორმოცზე ან **წანაშდუდის//მოწანუს** - წლისთავზე **გეჟილაფარის** - სამსხვერპლოს მოიყვანს. ამიტომ ოჯახში შეიძლება გასვენების დღეს რამოდენიმე ასეთი სამსხვერპლო მოგროვდეს, ოღონდ დღეს ის ეზოში არ დგას.

სოლარულ ღვთაებასთან მიცვალებულის კავშირზე უნდა მიგვითითებდეს მზის ჩასვლამდე ან მზის გადასვლისას დაკრძალვის წესიც (ადგილობრივთა რწმენით, მიცვალებული ჩამავალ მზეს მიყვება სასულეთში) [27, 186] და ასევე ჭირისუფლის (დედა, მეუღლე, და) მიერ ნაწნავების ჩამოშლის - **თუმაშ ხუალა** (სხივებად დაფენა - ასოციაცია მზის სხივებთან) ჩვეულება დაკრძალვამდე, მერე თმას დაიწნავდა და თავს შავი სამკუთხა თავსაფრით წაიკრავდა.

გალის რაიონშიც ადგილობრივები საინტერესო დამოკიდებულებას გვამცნობენ. მიცვალებულისთვის ღამის თევის დროს საძრაბისად არ ითვლებოდა სიცილი და მხიარული განწყობილება, მაშინ როცა, დღისით განუწყვეტელი ტირილი იყო. ტირილი იწყებოდა მზის ამოსვლიდან და გრძელდებოდა მზის ჩასვლამდე. **სერიშ მატახალეფის** ღამით მხიარულება მიუთითებს იმ რწმენაზე, რომ მზე მიდის მკვდართა ქვეყანაში, მაშასადამე, მიცვალებული მზეს შეხვდა, სიცოცხლეს ეზიარა

და ამიტომაც აღარ არის საჭირო გლოვა. გათენების შემდეგ კი კვლავ იწყებოდა გლოვა რადგან მზე უკვე ტოვებდა მკვდართა ქვეყანას, ქვესკნელს. იგივე ჩვეულება ღამისთევის დროს სიცილი და გართობა ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც [31, 97; 33, 104]. ზემოთმოყვანილი მასალა ასახავს საყოველთაოდვე ცნობილ შეხედულებას მიცვალებულისა და მზის კულტებს შორის კავშირის შესახებ, რომელიც ეხმაურება საყოველთაოდვე მიღებულ მრწამსს სიცილის ამალორძინებელი და მწარმოებლურ-გამანაყოფიერებელი ძალების გაძლიერების მაგიური მნიშვნელობის შესახებ. ადამიანი, რომელიც დღის მეორე ნახევარში გარდაიცვლება დღესაც იტყვიან **შურქ ბჟას ქელაყუნ** - სული მზეს ჩაყვა. რესპოდენტები მოგვითხრობენ, რომ **სერიშ მატახალეფი** ძირითადად თამაშობდნენ „ქინისტობანას“ - ქინძისტავობანას და მხიარულობდნენ [1].

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, გალის რაიონში, სანამ მიცვალებული სახლში იყო, მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცეცხლისა და წყლის კულტსაც. ცეცხლით განწმენდა მიცვალებულის დასაკრძალავად გამზადების აუცილებელი წესია. დიდია წყლის როლიც მიცვალებულთან დაკავშირებულ წარმოდგენებსა და რიტუალებში. წყალი განბანვის გარდა, ცეცხლის მსგავსად, განწმენდის საშუალებაცაა და, ამდენად, მას აქვს როგორც მაგიურ-რიტუალური, ისე რაციონალური დანიშნულება.

წარმოდგენებს, რომლის მიხედვით, მიცვალებულთა სამეფო წყალგაღმა სამყაროა, ანუ სააქაო წყლითაა გამოყოფილი საიქიოსაგან [37, 825]. ამ რწმენამ თავისებური ასახვა ჰპოვა საქართველოშიც სიკვდილზე მიმანიშნებელი გამოთქმით „გავიდა გაღმა“. ღვთაებასთან მიახლოებული მიცვალებულის კავშირზე წყლის კულტთანაც მიგვანიშნებს ჩვენში დამოწმებული ფაქტი „სულის წყარო“ ტიპის ნაგებობა, რომელთა მსგავსი საქართველოს სხვა კუთხეებშიცაა ცნობილი [14, 87-95]. გალის რაიონში ხშირად შევხვდებით სულის წყაროს, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა მიცვალებულის სახელზე კეთდება სოფელში (იმ უბანში სადაც მიცვალებული ცხოვრობდა) [1].

ხალხური რწმენის თანახმად, გარდაცვლილი სულეთში თავს კარგად იგრძნობდა, რომელსაც შეეწირებოდა შესაწირავი: პირუტყვი, საკვები და სხვა [15, 153], მაგრამ ყველაფერი ეს საიქიოში რომ მოხვედრილიყო, უნდა განხორციელებულიყო რიტუალური ქმედებები, რომლებიც საშუალებას მისცემდა დაინტერესებულ პირს,

შეჭრილიყო საკრალურ სივრცეში და გარკვეული ფასეულობები გადაეტანა სამზეოდან სულეთში [24, 192]. მთელი წლის განმავლობაში მიცვალებულის ოჯახში ყოველი პურისჭამის დროს მიცვალებული სახელზე სუფრაზე **თია** - წილი უნდა ყოფილიყო, რომელსაც **ღურელიშ თიას** - მიცვალებულის წილს უწოდებდნენ. ყოველი ხარჯის გაღების დროს, იცოდნენ მიცვალებულის ნიშანზე ტირილი. იგივე დასტურდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც [29, 51; 6, 59-66; 9, 184].

გალის რაიონში გლოვა შეიძლებოდა წლების განმავლობაში გაგრძელებულიყო, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეებში წლის ხარჯზე სამოსის სემიოტიკური ხარისხი კულმინაციას აღწევდა მასზე დატირებასა და სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში, რომლითაც, ფაქტობრივად, გლოვა სრულდებოდა.

ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები და მეზობლები იკრიბებოდნენ, სადაც წყდებოდა ყველა საჭირბოროტო საკითხი, რაც მიცვალებულის წეს-ჩვეულებებთან იყო დაკავშირებული უახლოეს დღეებში. გასვენების მეორე ან მესამე დღეს **კილეშ განცუმს** - მკლავის გახსნიას ხდებოდა საკურთხის გაკეთება, როდესაც ხდებოდა **გეცვილაფა** - ზედ დაკვლა, გეცვილაფა ხდებოდა აგრეთვე ორმოცზე და წლისთავზე. ამ შეკრებაზე ახლობელი აუცილებლად იტყოდა მიცვალებულისთვის რას გაიღებდა ეს შესაწირავი იქნებოდა თუ სურსათი. ამიტომ ხშირად ხდებოდა, რომ ძველად გასვენების დღეს ბევრ ხარს მოიყვანდნენ გიოცვილარად [21, 137-139] დღეს, გალის რაიონში ეს სამსხვერპლო საკურთხის გაკეთებამდე მოჰყავთ. სამსხვერპლოს მოყვანა ახლობელს ევალება. ეს შეიძლება ყოფილიყო ბიძა, ნათლია, ახლო მეგობარი და სხვა.

გალის რაიონში დასტურდება მიცვალებულის მოხსენიებისას საკურთხის გამართვის დროს სუფრაზე დასვამენ ორ წყვილ მტრედს ისე, რომ იქიდან გარეთ გაფრენა შეეძლოს. ახლო ნათესავის მიერ მიცვალებულის სულის საპატივცემლოდ ოჯახში მოყვანილი მტრედები (წყვილი მტრედი) სიმბოლოა მიცვალებულის სულისა, რომელიც ამ სადილის მოლოდინში სააქაოში იყო და მხოლოდ ამ **გეცვილაფას** - ზედ დაკვლის გამართვის შემდეგ გაფრინდება სახლიდან ზეცაში, სულეთში გასამგზავრებლად. მტრედებს იმ ოთახში გაუშვებდნენ, სადაც საკურთხი კეთდებოდა, მერე სასაფლაოზე მიჰყავდათ. ამ ცერემონიის შემდეგ მტრედებმა იცოდნენ გზა სახლიდან სასაფლაომდე და დაფრინავდნენ, ხოლო გარკვეული დროის

შემდეგ ეს მტრედები იკარგებოდნენ, რაც იმის მომასწავებელი იყო მიცვალებულის სული კმაყოფილი იყო თავის ოჯახის მიერ გაწეული საკურთხის სუფრებით. მტრედი ქრისტიანულ სიმბოლოს წარმოადგენს და მას წარღვნის სიუჟეტში ვხვდებით, როგორ მშვიდობის სიმბოლოს. მტრედი არის სულიწმინდის სიმბოლო. მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში საიდან, როგორ ან რატომ მოხდა მტრედის სიმბოლიკის გაჩენა რესპოდენტთა მეხსიერებაში აღარ არის ინფორმაცია. თუმცა ფაქტია, რომ ქრისტიანობასთან ერთად, ქრისტიანული სიმბოლო - მტრედი მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში ხშირად გვხვდება. რესპოდენტთა ინფორმაციით, ამის მაგალითია სიკვდილის მომენტში ადამიანის პირიდან გამოდის სული, რომელიც ხშირად ფრინველის (მაგ. მტრედის) სახით წარმოიდგინება, რომლის ბუნებრივ სადგომად თავი ითვლება [1]. მტრედის სახით პირიდან „გამომხტარ სულს“ სასთუმალთან მოუთმენლად ელოდება სიკვდილი, რომელიც მას ებლაუჭება და მიჰყავს [2, 11]. მტრედის გამოსახულებები გვხვდება საფლავის ქვებზე.

სასაფლაოს ყოველმხრივი ანალიზი სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ზოგადი სურათის დადგენის წინაპირობას წარმოადგენდა [12, 91]. გალის რაიონში ძველად სასაფლაოები გამართული ყოფილა ეკლესიების ტერიტორიაზე [22] საერთო სასოფლო სასაფლაო, მაგრამ XVIII-XIX საუკუნეებში ოჯახის უზუცესებს თავიანთ საკარმიდამო ადგილზე ასაფლავებდნენ. ეს შეიძლებოდა მომხადრიყო როგორც სასოფლო სასაფლაოს შევსებისას ან მაშინ, როდესაც ოჯახს ერთადერთი მემკვიდრე უკვდებოდა. თანამედროვე ყოფაში გალის რაიონში დღესაც ფიქსირდება რამოდენიმე სასაფალო საკარმიდამო ეზოში. მიცვალებულის ეზოში დამარხვის წესი, საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება [18, 251]. სამარხი მიცვალებულის სხეულის სამყოფ ადგილად მოიაზრებოდა, ხოლო სულებთან კავშირის დამყარება, საოჯახო კერის მეშვეობით ხდებოდა. კერა წინაპართა სულების სადგომად ითვლებოდა და მის წინაშე ყველანი მოკრძალებას განიცდიდნენ [17, 326] და საკარმიდამო ნაკვეთში სასაფლაოს მოწყობის ჩვეულება კერასთან დაახლოების სწრაფვით უნდა ყოფილიყო განპირობებული. კავკასიის ხალხებში კერასთან წინაპართა კავშირი გარდაცვლილ და ცოცხალ ინდივიდთა საერთო წარმოშობისა და საოჯახო ერთობის სიმბოლოს წარმოადგენდა [39, 204].

ძველად სასაფლაო, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩვეულებრივ ყველა სოფელში ეკლესიის ეზოში იყო, მაგრამ მოსახლეობის ცვალებადობასთან დაკავშირებით გალის რაიონის ყველა სოფელში სასაფლაოს ტერიტორია ეკლესიის შორიახლოს, გარეთ გაიტანეს და დღეს სოფლის სასაფლაო საგვარეულო კუთხეებად არის წარმოდგენილი.

გალის რაიონში ნაირგვარია საფლავის ქვები. საფლავის ქვებზე დატანილია სხვადასხვა გამოსახულებები (ცხოველები, ფრინველები), რაც დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეებშიც [19, 99]. მიღებული მოსაზრების მიხედვით, ისინი მიმანიშნებელია მიცვალებულის საქმიანობაზე. გვხვდება საფლავზე მტრედების გამოსახულებაც, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ცნობიერებიდან გადასული, ხალხური რელიგიური აზროვნებით დამკვიდრებული, ძველისძველი წარმოდგენის მხოლოდ ტრადიციის ძალით შემორჩენილ გადმონაშთურ ნიშანთან, რომელმაც ქრისტიანობის ხანაშიც შემოინახა თავი და საფლავთა ქვებზევე გამოსახულ მტრედებთან ერთად, რაც ღვთაებასთან მიცვალებულის მიახლოების მაუწყებელი უნდა იყოს ისევე, როგორც ჯვარი. ხოლო ჯვარი გააზრებულია როგორც თავად მიცვალებულის სიმბოლო. გალის რაიონში ბოლო პერიოდში ხშირად ფიქსირდება საფლავზე ჯვარის გამართვის ტრადიცია. საფლავზე დადგმული ჯვარიც ხომ, გარკვეული დროიდან მაცხოვრის ნიშანია. უხსოვარი დროიდან ცნობილი ჯვარი, ვითარცა საფლავის განმასხვავებელი ნიშანი, დაამკვიდრა ქრისტიანულმა კანონმდებლობამ. დღეს გალის რაიონში სასაფლაოზე ძეგლის და ჯვრის დადგმის თანხვედრაა.

სამარის გამჭრელს **მესაფლე** - მესაფლავე ჰქვია. მესაფლავეებს ოჯახის უფროსი გასვენების დღეს ადრე აფრთხილებდა, რომელიც ახლობელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთი აუცილებლად მოგვარე. მესაფლავეები კენტი უნდა ყოფილიყვნენ (ხშირად სამი ფიქსირდება). შემდგომ ეს მესაფლავეები მიცვალებულისთვის განკუთვნილი მოსახსნიებელი სუფრის საპატივცემლო პირები იყვნენ და მათ სადღე-გრძელს აუცილებლად ცალკე იტყოდნენ.

ტირილში **გინაფორალი** - გადასაფარავი მოჰქონდათ, რომელიც ფულადი სახის იყო. დღევანდელ ყოფაში მხოლოდ ფულადი შესაწირის არსებობა ფიქსირდება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შესაძლოა რომელიმე ნათესავი ან მეზობელი ქელეხის სუფრისთვის ოჯახს ღვინით ან სხვა პროდუქტით დახმარებოდა. დაკრძალვის

დღეს რომელიმე ოთახში ორ ადამიანს დასვამდნენ **ფარაშ მაჭარალს** - ფულის ჩამწერებს და სატირლად მისულთაგან სიაში შეიყვანდნენ თანხის მითითებით [8, 194]. ეს შეწევნა ერთგვარ ვალად ითვლებოდა.

მიცვალებულის გასვენების დღეს იცოდნენ ეზოში ხის მოთხრა. ასევე ეზოში იდგა შავნაჭერი გადაფარებული ცხენი. ხეს და ცხენს მიცვალებულს საჯერ შემოატარებდნენ და სასაფლაოზე გაიყოლებდნენ. ამოთხრილ ხეს საფლავთან დარგავდნენ [17, 354]. გალის რაიონში გასვენების დღეს მიცვალებულის ავტომობილს შავად შემოსავენ, რომელზეც გარდაცვლილის სურათს დადებენ და ასე შავად შემოსილი - **უჩათ სურდილი** ავტომობილი მთელი დღის განამვლობაში მიცვალებულისთვის გამართული ფაშატურის წინ დგას, რომელიც სასაფლაოზეც მიჰყავთ. თანამედროვე ყოფაში გასვენების დღეს ხის მოთხრის რიტუალი არ სრულდება, მაგრამ ხშირად ფიქსირდება საფლავზე ხის დარგვის ჩვეულება [1].

გალის რაიონში მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში ფიქსირდება **კილანტარი//კელანტარი** - კელაპტარი. კელანტარი მეგრულში დიდი ზომის ცვილის სანთელია, რომელიც ქართველური წარმოშობის არ არის, მაგრამ აფხაზურში შესულია მეგრულიდან. ტერმინ „ა-კალანტარს“ საფუძვლად უდევს მეგრული სიტყვა „კილანტარი“, რომელიც, თავის მხრივ, ქართული „კელაპტარი“ ფორმის შესატყვისია. თ. გვანცელაძეს აზრით კელანტარი ბერძნული წარმოშობისაა და ლექსემამ სემანტიკა საკუთრივ ქართულ ნიადაგზე შეიცვალა (სასანთლე - ცვლის სანთელი), იგივე ლექსემა **კელანტარი** ფორმით დასტურდება მეგრულში დიდი სანთლის მნიშვნელობით, რაც ქართული კელაპტარი სიტყვის ახალ მნიშვნელობას ემთხვევა [13, 79], თუმცა სულხან-საბას განმარტებით - სასანთლე, სანთლის სადგარია [25, 364; 5, 76-77].

**კილანტარი//კელანტარი** - კელაპტარი ტირილში მოზარუესთან ერთად აუცილებლად შავი ლენტით მორთული მხოლოდ ნათლულს მიაქვს ნათლიასთან. ანთებული კელაპტარი გასვენების დღეს მიცვალებულის თავთან დევს, ხოლო დასაფლავების შემდეგ სასაფლაოზე ანთებულს ტოვებენ [1].

ნ. აბაკელიას ცნობით მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ტოტებიანი სანთელი მასზე შემომჯდარი ფრინველის გამოსახულებით (ხშირად თითქმის რეალური ხის ზომის) ცნობილი იყო „კილანტარის“ სახელწოდებით. გასვენებაში

მიცვალებულის ნათლიას ან ნათლულს აუცილებლად მოჰქონდა კილანტარი - კელაპტარი, რომელსაც როგორც რიტუალურ საგანს დაკრძალვისა და გლოვის წესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა [4, 31-41]. ეს იყო ხელნაკეთი ცვილის სანთელი, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა შავი ნაჭრის ფითილი.

რესპოდენტთა გადმოცემით, სწორედ გარდაცვლილს ბეწვის ხიდზე გადასვლისას, ნათლულის მიერ მორთმეული კელაპტარი უნათებს გზას და კუბოში ჩადებული ქამარი ეხმარება დაბრკოლებების უპრობლემოდ გადალახვაში [1]. გალის რაიონში სავალდებულო იყო კელაპტარი მხოლოდ ნათლულს მიჰქონდა ნათლიასთან, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეებში სახლიდან გათხოვილი ქალის და ნათლულის ვალდებულებას დამწუხრებული ოჯახში კელაპტრით მისვლა წარმოადგენდა [38, 21].

ს. მაკალათიას ცნობით ძველად მიცვალებულის გამზრდელები კელაპტარს აკეთებდნენ ალვის ხისგან (მუხის გარდა, სხვა ხეც შეიძლებოდა) კელაპტარი რაც შეიძლება გრძელი უნდა ყოფილიყო. ამ ხეს შემოავლებდნენ შავი და თეთრი ფერის გასანთლულ მიტკალს და ზედ მის წვერზე დააკრავდნენ ხისგან გამოთლილ იხვის-მაგვარი ფრინველის ქანდაკებას [17, 289], რომელიც შეიძლებოდა როგორც გასვენების დღეს, ისე ორმოცზე და წლისთავზეც მოეტანათ. კელაპტარის გარშემო ანთებული სანთლები ჰქონდა გაკეთებული. კელაპტარს ეზოში დადგამდნენ და ერთ ადგილზე დაამაგრებდნენ. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიცვალებულისთვის საკურთხის გამართვისას აუცილებლად უნდა დაეკლათა იხვი, რომელიც დღესაც დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებით თანამედროვე გალში [1], თუმცა ზოგი მკვლევარი ამაში სიცოცხლის ფრინველს ხედავს, ხოლო ნ. აბაკელიას ანთებული კელაპტარი ფრინველით თავზე „ნათლის ხის“ ადგილობრივ ვარიანტად მიაჩნია [3, 34].

აფხაზებში ა-კმალანტარი – მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სიმბოლო – „მიცვალებულის ხე“ წარმოადგენს ერთ მეტრამდე სიგრძის ცვილის განტოტვილ სანთელს, რომლის ღერძი მთელ სიმაღლეზე სპირალურად წითლად არის შეღებილი და სადგართან თეთრი ლენტი აქვს შემოხვეული. სანთლის თავში დასმულია ცვილისაგან დამზადებული ჩიტის გამოსახულება. ასეთი სანთლის ჩამოქნა აფხაზებმა ორმოცზე ან წლისთავზე იცოდნენ [5, 76; 40, 240-255].

აფხაზური ა-კაღანტარის და მეგრული კილანტარის მორთულობაში თვალში საცემია მრავალი ხალხის (მათ შორის, ქართველების) მითოლოგიიდან და ფოლკლორიდან კარგად ცნობილი მოტივი „ჩიტი ხეზე“ (მსოფლიო, კოსმიურ ხეზე შემომჯდარი ფრინველი მიცვალებულის, წინაპრის სულს განასახიერებს), როგორც მიცვალებულის სულის ნიშანი. ეს ფრინველი ადგილობრივთა რწმენით არის მტრედი.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით სამეგრელოში მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი სუფრიდან ამდგარი მეინახეები ხელიხელგაყრილნი მღერიან და ცეკვავენ მინდორში [6, 37-38] ანუ ასრულებენ ფერხულს. გალის რაიონში ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით ვერ დავადასტურეთ ფერხულის შესრულება, მაგრამ დაფიქსირდა წყალში დამხვჩვალის სულის ოჯახში მოყვანის [35, 66-68] დროს გამართული რიტუალი ცეკვა-თამაშითა და სიმღერის თანხლებით სრულდებოდა. რიტუალური ცეკვა ფერხული, რომელიც ასტრალურ კულტს უკავშირდება სულის მოსახსენიებელი ცერემონიალის დროს სრულდებოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც [34, 169; 16, 46; 14, 87; 7, 131], ასევე ბატონებით გარდაცვლილი ადამიანის დატირება არ შეიძლებოდა. რესპოდენტები გვიყვებიან სოფელ ოტობაიაში მცხოვრები ბჟინა-ვების ოჯახიდან ბატონებმა სამი არასრულწლოვანი წაიყვანეს (გარდაიცვალნენ). დედა გარდაცვლილი ბავშვების შუაში იჯდა, ჩონგურზე უკრავდა და უმღეროდა [1].

ამრიგად, წინამდებარე სტატია ეხება თანამედროვე გალის რაიონის ყოფაში მიცვალებულთან დაკავშირებული დაცული წესების მნიშვნელობას. ნაშრომი მიზნად ისახავს გალის რაიონში ბოლო დროს დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალის შემოტანას სამეცნიერო ბრუნვაში და შესაბამისი ანალიზის გაკეთებას. დამატებით წყაროდ გამოყენებულია საქართველოს სხვა კუთხეების ეთნოგრაფიული კვლევები, რომელიც საშუალებას იძლევა შესაბამისი წარმოდგენა შეიქმნას მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში.

## ლიტერატურა:

1. ასედ - ავტორის საველე ეთნოგრაფიული დღიური, გალი, 2022.

2. აბაკელია ნ., ციკლური სიმბოლიზმი და დაკრძალვისა და გლოვის წესები დასავლურ-ქართულ ტრადიციაში, ქართველური მემკვიდრეობა, №4, ქუთაისი, 2000
3. აბაკელია ნ., ციკლური სიმბოლიზმი დაკრძალვისა და გლოვის წესებში დასავლურ ქართულ ტრადიციაში, ქუთაისი, 2007.
4. აბაკელია ნ., საკრალური ხე და მისი ალომორფული ვარიაციები დაკრძალვისა და გლოვის წესებში, თბ., 2009.
5. ანთელავა ნ., აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, ენციკლოპედია, თბ., 2006.
6. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1937.
7. ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.
8. ბახია-ოქრუაშვილი ს., ეთნოგრაფიული მონაცემები სამურზაყანოდან, კრ: აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2021.
9. ბეზარაშვილი ც., სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970.
10. ბეზარაშვილი ც., ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974.
11. ბეზარაშვილი ც., ქალის ჩაცმულობა სამეგრელოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979.
12. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964.
13. გვანცელაძე თ., ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1997.
14. გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987
15. გიორგაძე დ., რიტუალური სამოსელის საკითხისათვის („სულის ტალავარი“), თბ., 2010.
16. მაკალათია ნ., ბალიაური მ., მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მსე, III, თბ., 1940.
17. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

18. მგელაძე ნ., მიცვალებულის კულტი და სამგლოვიარო რიტუალი აჭარაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტრულ მეცნიერებათა სერია, შრომები, ტ. IV, ბათუმი, 2002.
19. ნადირაძე ე., მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა, თბ., 1998.
20. ოჩიაური თ., დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა, თბ., 1987.
21. სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.
22. სახოკია თ., „სამურზაყანო“, ჟურნალი „მოამბე“, 1896.
23. სამსონია ი., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, თბ., 2005.
24. სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.
25. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.
26. ქაჯაია ნ., მიცვალებულის კულტი გურიაში, კრ: გურია, თბ., 1980.
27. ქაჯაია ნ., მიცვალებულის კულტი ლეჩხუმში, კრ: ლეჩხუმი, თბ., 1985.
28. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.
29. ყავრიშვილი ბ., სვანეთი, თბ., 1926.
30. შავიანიძე დ., სამეგრელო (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 2015.
31. ჩართოლანი შ., სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალების შუქზე, „სვანეთი“, თბ., 1977.
32. ჩიტაია გ., ჯალაბაძე გ., უღლები და აპეურები „სეია“, მასალები, თბ., 1985.
33. ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987.
34. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948.
35. ჯანაშია ნ., წყალში დამხრჩვალის სულის დაჭერა, „მოამბე“, II, 1897.
36. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ., 1962.
37. Gamkrelidze T., Ivanov V., Indo-European language and Indo-Europeans, vol. II, Tb., 1984.
38. Kalandarov, „Funeral rites among the Gurtas“, „Caucasus“, 1855.
39. Kovalevsky M., Law and customs in the Caucasus, vol. I-II, 1890.
40. Malia E.M. Tree-candles in the funeral rituals of the Abkhazians//Caucasus: history, culture, traditions, languages. Based on the materials of the International Scientific Conference dedicated to the 75-th anniversary of the Abkhaz Institute for Humanitarian Research named after A. D. I. Gulia, ANA May 28-31, 2001. Sukhum, 2003.

## CUSTOMS RELATED TO THE DEAD

(Based on ethnographic materials obtained in Gali region)

**ბები–ბუმერ:** – ომის შემდგომი პერიოდი გამოირჩეოდა მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდით, რომელსაც ხალხური ენით „ბები–ბუმი“-ს სახელწოდებით გამოხატავდნენ. რუსეთში 1943–1963 წლებში დაბადებულებს „ცივი ომის თაობას“ უწოდებენ. წინა თაობისგან განსხვავებით, ამ თაობის წარმომადგენლებს ძალიან უყვართ ადგილობრივი თუ მსოფლიო პრობლემების განხილვა, სჯერათ ბედნიერი მომავლის. ამ იმედებს ამყარებენ კომუნისტურ საფუძვლებზე, შესაბამისად მზად არიან სულმოუთქმელად იმრომონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამ დროისთვის „ბები–ბუმერების უმრავლესობა პენსიაზეა გასული, მაგრამ არიან ჯერ კიდევ სასარგებლო შრომაში აქტიურად ჩართულებიც. ისინი ამტანიანები არიან, კარგად ასრულებენ თავიანთ სამუშაოს. დიდი ნაწილი კონსერვატიულად განწყობილი არიან. ისინი გამოირჩევიან პატრიოტიზმის ძლიერი გრძნობით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი რეფორმების მიხედვით, ისინი გადაიყვანეს ცხოვრების ახალ ყაიდაზე, განსხვავებულ წესებსა და ტრადიციებზე. ამ და სხვა მიზეზების გამო „ბები–ბუმერები“ მიაკუთვნეს დაკარგულ თაობას.“ თუმცა C itipost Mail: 91%-ის მონაცემებით ბუმერებს სოციალურ სექტში აქვთ მინიმუმ თითო ანგარიში. ბები–ბუმერები მწვავედ განიცდიან გლობალურ ცვლილებებს, არ ენდობიან „გაჟეტებს.“ კეთილგანწყობას

---

<sup>9</sup> Strauss & Howe 1997, pp. 58p62. <<http://spsu.ru/news/4525-teoriya-pokolenij-x-y-z-i-a-al-fa-kto-est-kto>> [12.02.2022].

<sup>10</sup>Strauss & Howe 1997, pp. 254-260.

ავლენენ იგრეკებისა და ზეტების მიმართ<sup>11</sup>. ბები-ბურები“ (1943–1961), რომელთათვის დამახასიათებელია ტრადიციული ღირებულებების, კულტურული ცვლილებების, ზომიერი კონსერვატიზმის, ოპტიმიზმის, გუნდური სულისკვეთების, ჯანსაღი ამბიციების, ყაირათიანობის გაცნობიერება.

**თაობა X (იქსი):** შტრაუსისა და ხოუვას თაობების თეორიის თანახმად, თაობა X-ს წარმომადგენლები მიეკუთვნებიან 1961–1981 წლებში დაბადებულების თაობა. თაობა X-ის მშობლები დიდი სამამულო ომგამოვლილები ან დასასრულს მოვლენილები არიან. ომის შემდგომი პერიოდის ადამიანთა უმეტესობა წარმოადგენდა მუშათა კლასს. ისინი უმეტეს დროს სამუშაოს უთმობდნენ და ოჯახისთვის მცირე დრო რჩებოდათ. ზოგჯერ X-ბს „მოხეტიალე“ თაობას“ უწოდებდნენ. ისინი დაიბადნენ სოციალური იდეებისა და სულიერობის ძებნის პერიოდში. „მოხეტიალე“ იზრდებიან როგორც დაუცველი ბავშვები. სრულწლოვანებას აღწევნენ როგორც გაუცხოებული ახალგაზრდების სტატუსით. საზოგადოებას ევლინებიან როგორც სრულწლოვანი პრაგმატული ლიდერი და სიბერეს ხვდებიან სასიცოცხლო ძალების დიდი მარაგით<sup>12</sup>.

ბები-ბუმერი პენსიაზე გადის და თაობა X კი იკავებს ხელმძღვანელის თანამდებობას. იქს-თაობის პერიოდში თავი იჩინა ისეთმა გრანდიოზულმა მოვლენებმა, როგორიცაა: ცივი ომი, ავღანეთის კონფლიქტი, ე. წ. „პერესტროიკა“, ბერლინის კედლის ნგრევა. იქს-თაობა დაიბადა საბჭოთა კავშირში მისი რღვევის გარიჟრაჟზე. მიაღწიეს რა სრულ ასაკს–20–25–ს, მათ თვალწინ დაიწყო სსრკ-ს ნგრევის შეუქცევადი პროცესი, რასაც მოჰყვა საბჭოური იდეების მსხვრევა. ამიტომ არცაა გასაკვირი, თუ იქს – თაობა არ ავლენს დიდ ინტერესს პოლიტიკისადმი. იქსებს აქვთ არაორდინალური დამოკიდებულება და მიდგომა სხვადასხვა

<sup>11</sup> <<https://prostudio.ru/journal/generation-x-y-z/>> [12.02.2022].

Анипкин М. "Поколение лишних людей": антропологический портрет последнего советского поколения. (рус.) // Неприкосновенный запас : научный журнал. — 2018. — № 117. — С. 290—308. — ISSN1815-7912

<sup>12</sup> <<https://trends.rbc.ru/trends/futurology/5dfcabbf9a7947a532b7f9a5>> [12.02.2022].

საკითხებისა და მათი გადაწყვეტისადმი. ისინი ყოველთვის ცდილობენ იყვნენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების კურსში. ისინი ძალიან ელასტიურები არიან ცვლილებების მიმართ. მუდამ ინარჩუნებენ სულიერ სიმტკიცეს და ავლენენ რთულ პრობლემებთან გამკლავების უნარ-ჩვევებს. ასავე გამოირჩევიან ლიდერის (ორგანიზატორის) ნიჭით. მათ იციან როგორ მოაწყონ თავისი სამუშაო ადგილი და სირცცე, სწორად ირჩევენ შემსრულებლებს, რომლებსაც შესწევთ უნარი დროულად შეასრულონ მიზნის მისაღწევი ამოცანები. იქს-ები საკმაოდ ამბიციურები და მუყაითი მშრომელები არიან. სწორედ მათგან მომდინარეობს ტერმინი <<ტრუდოგოლიზმ>>, რაც ნიშნავს შრომისმოყვარეობას. ისინი ხელმძღვანელობენ პრინციპით: „ცხოვრება მუდმივი ბრძოლაა.“ ამიტომ მათაგან არ უნა მოველოდეთ მოჭარბებულ ჰუმანიზმს.

იქს-თაობა მტკივნეულად განიცდის საქმეში წარუმატებლობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნერვოზი, მორალური გამოფიტვა, დეპრესია, დამწუხრება. ისინი, როგორც წესი, აქტიურად მიიღებენ კარიერული სიმაღლეებისკენ. იქს-თაობის 41% მეწარმრმეებად თვლიან თავს და რიგითი თანამშრომლის პოზიციიდან ხდებიან ბიზნესის მფლობელი. მიისწრაფიან უკეთესი ცხოვრებისაკენ, სტაბილურობისაკენ. მუშაობენ მიღებული განათლების პროფილით, აფასებენ კლასიკურ განთლებას. ისინი ძალღონეს არ იშურებენ, ცდილობენ კეთილსინდისიერი შრომით სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას. მხარს უჭერენ იმ კომპანიებსაც, რომელებსაც ასეთივე მიზანი ამოძრავებთ. ასეთი კატეგორიის ადამიანები ხასიათდებიან ცოდნისა და გამოცდილების მაღალი არსენალით, რთული ამოცანების შესრულების უნარით. ასევე სხვა უამრავი დადებითი თვისებებით. ისინი ცდილობენ ყველაფერი მისცენ თავიანთ შვილებს, რაც მათ არ ჰქონდათ: მშობლების ყურადღება და ზრუნვა, მატერიალური დახმარება, განათლების მიღება<sup>13</sup>.

იქს-თაობისთვის მთავარი პრიორიტეტებია: სწავლა, შრომა და ოჯახი. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომასა და პირად ცხოვრებას შორის

13<<https://hurma.work/ru/blog/teoriya-pokolenij-ot-x-do-z-cto-nuzhno-znat-cto-by-rabotat-vmeste/>> [12.02.2022].

<<https://www.adme.ru/svoboda-psihologiya/cto-takoe-teoriya-pokolenij-i-k-kakomu-iz-pokolenij-otnosites-vy-1694865/>> [12.02.2022].

ბალანსის დაცვა, რადგან ისინი თვლიან, რომ დრო უფრო ღირებულია, ვიდრე ფული. ისწრაფიან განვითარებისკენ როგორც შრომით, ასევე პირად ცხოვრებაში. ამ თაობისთვის დამახასიათებელია დაოჯახებული და შვილიანი ქალების დასაქმება შრომის ბაზარზე, განქორწილებათა რიცხვის ზრდა, გენდერული თანასწორობა, მოსახლეობის დაბალი დემოგრაფიული ზრდა. ეს თაობა იყო პირველი, რომელიც მოესწრო ახლი ტექნიკის: ინტერნეტის, მობილური ტელეფონის და კომპიუტერის დანერგვას. ისინი აგეთვე გამოირჩევიან მაღალი შრომისუნარიანობით. ისინი სახელმწიფოსგან არ ელიან დახმარებას, ბოლომდე საკუთარ თავს ეყრდნობიან. უყვართ სიცხადე, ცხოვრებისა და შრომის განსაზღვრული ჩარჩოები<sup>14</sup>. თაობა X (1962–1981) აჩვენებს დამოუკიდებლობის, ინდივიდუალიზმის, უნდობლობისა, აპოლიტიკურობისა და სკეპტიციზმის მაღალ ხარისხს მწარე სინამდვილის გამოცდილებიდან გამომდინარე.

#### **X –თაობის ძირითადი ნიშნები:**

1. მაღალი ინტელექტუალური უნარები, გლობალური ინფორმაციულობა, ტექნიკური განსწავლულობა, სიცოცხლის ბოლომდე სწავლის უწყვეტობა, ორგანიზატორული უნარი, მუდმივი მზაობა სიახლის მისაღებად, პროექტის ნულიდან დასკოლა დამთავრებულმაცყება და ბოლო შედეგამდე მიყვანა.
2. პრაგმატულობა და მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობა, ავტონომიურობა; ინფორმაციის შენახვა; კრიტიკული სიტუაციიდან თავის დაღწევა.
3. სახელმწიფოს მიმართ უკმაყოფილება, ხელისუფლებისადმი უნდობლობა და პოლიტიკური ინდიფერენტულობა<sup>15</sup>.

#### **თაობა –Y (იგრეკი)**

ავტორებმა უილიამ შტრაუსმა და ნილ ხოუმ 1987 წელს შემოიღეს ტერმინი „თაობა–Y, როცა 1982 წელს დაბადებული ბავშვები საბავშვო ბაღებს მიაბარეს და მათ პირველებმა ახალი საუკუნის–2000 წლის დამდეგს, უკვე სკოლა

<sup>14</sup> <sup>14</sup> <<https://womo.ua/generations-x-y-z/>: <https://daily.afisha.ru/pokolenie/5472-x-y-z-kak-svyazany-teoriya-pokoleniy-i-istoriya-sovremennoy-kultury/>> [12.02.2022].

<sup>15</sup><<https://externat.foxford.ru/polezno-znat/osnovy-teorii-pokolenij-xyz>> [12.02.2022].

დამთავრებულმა ახალგაზრდებმა დააგემოვნეს ანუ პირველებმა მოახდინეს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების იდენტიფიცირება<sup>16</sup>.

თაობის მახასიათებლები განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყანაში, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პირობების მიხედვით. შეერთებულ შტატებში Y თაობა განისაზღვრება, როგორც 1981-დან 1996 წლამდე დაბადებულები. რუსეთში ამ თაობას მიაკუთვნებენ 1985–2002 წლებს დაბადებულებს. ახალ სოციალურ–პოლიტიკურ პირობებში, გორბაჩოვის ე. წ. „პერესტროიკით“ დამზობილ საბჭოთა კავშირში დაბადებულებს. სხვათა შორის, სოციოლოგებს არა აქვთ მკაფიო ციფრი, საიდანაც უნდა დაიწყოს ამ თაობის საწყისის ათვლა.

თაობა Y აგრეთვე ცნობილია სხვადასხვა სახელებით: „ნექსტ“ „სოციალურ ქსელების“ თაობა, „მილენიალები.“ მილენიალი – ეს არის დემოგრაფიული კოჰორტა თაობა X-ის მომდევნო და თაობა-Z-ის წინა თაობა. თაობა, რომელთა სრულწლოვანება დაემთხვა მე-3 ათასწლეულის დასწყისს (1990– 2000 წლები). იგრეკთა უმრავლესობა „ბები–ბუმერები“-ს და თაობა- X-ს შვილები და იგრეკი ალფა თაობის მშობლები არიან. იგრეკებმა პირველებმა გაიციეს ინტერნეტი, მობილური მოწყობილობები და სოციალური ქსელები და მათი აქტიური გამოყენება დაიწყეს, ამიტომ მათ ზოგჯერ ციფრულ აბორიგენებსაც უწოდებენ. ამ თაობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა დიდმა რეცესიამ და COVID-19 ის პანდემიამ, რადგამ ამ პრობლემამ ახალგაზრდებში გამოიწვია უმუშევრობის ისტორიულად მაღალი მაჩვენებელი.

მილენალები დიდი ოპტიმისტები აღმოჩნდნენ. თაობა-Y არა აქვს რაიმე გამოხატული ტენდენცია ისეთ სფეროებში, როგორიცაა: რელიგია, პოლიტიკა, ხელოვნება და ა. შ. სამაგიეროდ მკაფიოდაა გამოხატული ტენდენცია „ნუ იქნები სხვებივით“ ამასთანავე იყავი “ ბრბოსგან მკვეთრად გამოყოფილი“, ისინი მიდრეკილნი არიან უფრო მეტად გააქიანურონ სრულწლოვანების პერიოდში გადასვლა, ვიდრე ამას მათი თანატოლები აკეთებდნენ წინა თაობებში, ასევე ცდილობენ მეტ ხანს დარჩნენ მშობლების სახლში. სოციოლოგმა კეტლინ

<sup>16</sup> История будущего Америки, 1584–2069 (1991) и Millennials Rising: The Next Great Generation (2000).

შაპუტისმა ამ მოვლენას „გადახუნძმული ბუდის სინდრომი“ უწოდ<sup>17</sup>. მეცნიერები თვლიან, რომ ახლა მოზარდობის ასაკი 24 წლამდე გრძელდება (ადრე 18 წლით შემოიფარგლებოდა)<sup>18</sup>. „იგრეკების“ მკვეთრი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ არ ჩქარობენ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას, დაოჯახებას, საკუთარი სახლის შეძენას, სამუშაოს დაწყებას<sup>19</sup>. იგრეკი არის პირველი თაობა, რომელსაც არ ჰყავს გმირები, მაგრამ ყავს კუმირები. მასზე გავლენა იქონია ქსელური კომუნიკაციების ტექნოლოგიების განვითარებამ, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, მოკლე შეტყობინებების სამსახური, მყისიერი შეტყობინებების საშუალებები და სხვა ახალი მედია რესურსები, მაგალითად ვიდეოხოსტინგი youtube და სოციალური ქსელები (Livejournal, MySpace, Facebook, Twitter და ა.შ.). კომუნიკაციების ფსიქოლოგიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი თავისებურება კომუნიკაციური საშუალებების გამოყენების მრავალ-ფუნქციურობაა: მათ ერთდროულად შეუძლიათ ეკონტაქტონ რამდენიმე ადამიანს, იკითხონ საიტი სხვა თემაზე, თვალყური ადევნონ განახლებებს ტვიტერსა და ბლოგებში. ისინი ათჯერ ნაკლებად იყენებენ ტელევიზიას და რადიოს<sup>20</sup>. ამ თაობისთვის დამახასიათებელია სწრაფვა თვითგამოხატვისკენ (ეს განსაკუთრებით შეინიშნება ჩინელ ახალგაზრდობაში), თვითდამკვიდრებისკენ. ინტერნეტში , MMORPG ჟანრის ქსელურ ინტერაქტიურ თამაშებსა და World of Warcraft ან Second Life ტიპის ვირტუალურ სამყაროებში წვდომის წყალობით ბევრმა იგრეკმა მოიპოვა აღიარება ონლაინ-თანამეგობრობების ორგანიზებით, ინტერნეტ-მემების გაშვებით ან ფლემ-მობების შეგროვებით. სხვებმა, სოციალური განხრით უფრო მორიდებულმა ადამიანებმა, საკუთარი თავი იპოვეს ანონიმურ ონლაინ-

<sup>17</sup> 17 Shaputis Kathleen. The Crowded Nest Syndrome: Surviving the Return of Adult Children. Clutter Fairy Publishing, 2004.

<sup>18</sup> <<https://bujet.ru/article/406258.php>> [12.02.2022].

<sup>19</sup> Brittani Lusk — DAILY HERALD (2007-12-05). «Lusk, Brittani. „Study Finds Kids Take Longer to Reach Adulthood.“ Provo Daily Herald 5 December 2007».

<sup>20</sup> Francesc Pedró. The New Millenium Learners: Challenging our Views on ICT and Learning. OECD-CERI May 2006

<<http://www.oecd.org/dataoecd/1/1/38358359.pdf>> [12.02.2022].

ურთიერთობებში, რაც საშუალებას აძლევს მათ, უფრო გაიხსნან<sup>21</sup>. ამ თაობას ახასიათებს წვდომა ნებისმიერ ინფორმაციასთან, მუსიკასთან, ფილმებთან, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ტელეარხების, ხმისჩამწერი სტუდიების, ბიზნესისა და გართობის ინდუსტრიაზე. მთლიანობაში იგრეკებიდან 95%-ს აქვს პერსონალური კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, აქედან 15%-ზე მეტი მუდმივად ონლაინ ქსელშია, 30% ბლოგერია და 50%-ზე მეტი ერთმანეთს უგზავნიან მუსიკას და ფილმებს სოციალური ქსელებით.

იგრეკებს ახასიათებთ ტენდენცია, სადაც არ არის მოგებული და წაგებული, „იგებს მეგობრობა“ და თითოეული იღებს „მადლობას ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის“. უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ახალგაზრდა თაობა „იგრეკი“ ზუსტად ასევე წარმოაჩენს თავს კორპორატიულ კულტურაში<sup>22</sup>. „იგრეკები“ ძალზე ცნობისმოყვარეები არიან, ამიტომ ხალისით უთავსებენ სწავლას სპორტულ ვარჯიშებს (უპირატესობას ანიჭებენ ექსტრემალურ სახეობებს), მუსიკას და სხვა გატაცებებს. მაგრამ თუ რამე არ მოსწონთ ან შედეგების მისაღწევად მეტისმეტი ჯაფა ადგებათ, ისინი მაშინვე წყვეტენ ასეთ საქმიანობას. ისინი დიდად აფასებენ ფსიქოლოგიურ კომფორტს, მათ შორის, სამსახურში. მათთვის პრესტიჟული სამუშაო და მაღალი თანამდებობა თვითმიზანი არ არის. მათ არ აინტერესებთ მატერიალური ღირებულებები, გავლენა და ძალაუფლება, ისინი არ მოითმენენ ადმინისტრაციულ დიქტატს სამუშაოზე. „თაობა Y“ (1982–1995) („მილენიალები“) დიდად აფასებს თავისუფლებას, გატაცებულია ახალი შთაბეჭდილებებით და თვითგანვითარებით, გვიან აღწევს ზრდასრულობას, მეტხანს ცხოვრობს მშობლებთან, არ მიიჩნევს კერძო საკუთრებას მნიშვნელოვან ღირებულებად.

„იგრეკები“ უპირატესობას ანიჭებენ:

- თანასწორ კონკურენციას;
- ლიდერობას და არა ხელმძღვანელობას;

<sup>21</sup>[https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5\\_Y](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_Y) [12.02.2022].

<sup>22</sup> Travis, Alan (2009-08-12). «Youth unemployment figures raise spectre of Thatcher's Britain». The Guardian (London). Retrieved 2010-05-03

- პარტნიორობას და არა დაქვემდებარებას;
- ინფორმაციის გაცვლა–გამოცვლას და არა მის დაცვას;
- გადაწყვეტილებების მიღებას განხილვების და ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე და არა ზემოდან მოსული მითითებების ბრმა შესრულებას<sup>23</sup>.

ბევრ დამსაქმებელს აფიქრებს ის, რომ ახალგაზრდობას მეტისმეტად დიდი მოლოდინები აქვს თავისი დასაქმებისგან, მათ ურჩევნიათ სამუშაოს პირობები თავიანთ ცხოვრებას მოერგონ და არა პირიქით<sup>24</sup>. თუმცა ისინი შრომისუნარიანები არიან, ძალებს არ იშურებენ სამუშაოზე და სურთ მეტი მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში, უპირატესობას ანიჭებენ მუშაობის მოქნილ გრაფიკს. სამუშაოს ძიება ინტერნეტით ხდება.

30 წლამდე ახალგაზრდები – ეს არის ყველაზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია ახალგაზრდა ბიზნესმენებს, ახალი პროექტების დამფუძნებლებსა თუ მონაწილეებს და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც საკუთარ თავზე მუშაობენ (ფრილანსერები). ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებებმა:

- 1) მათ ბავშვობაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ. ქვეყნის კანონმდებლობით დაშვებულია ფულის გამომუშავების ნებისმიერი მეთოდი, რომლებიც აკრძალული არ არის. დასკვნა: თაობა Y ახალი დროის პროდუქტია.
- 2) მათ არ სურთ მუშაობა კოლექტივებსა და კომპანიებში, სადაც ძველი თაობა და მისი რეჟიმია, მათთვის ასეთი პარტნიორობა ფსიქოლოგიურად დისკომფორტულია, რადგან მათ განსხვავებული ღირებულებები, მსოფლმხედველობა და შეხედულებები აქვთ. შედეგად ახალგაზრდა თანამშრომლებს ურჩევნიათ ან თავიანთი თანატოლების კოლექტივში იმუშაონ (ეს კი არის 80% ვაკანტური სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობიდან), ან წამოიწყონ საკუთარი საქმე და დამოუკიდებლად შეარჩიონ დამხმარეები და პარტნიორები<sup>25</sup>.

<sup>23</sup> <<https://www.affde.com/ru/common-characteristics-of-generation-y-professionals.html>> [12.02.2022].

<sup>24</sup> Alsop, Ron (2008-10-21) «The Trophy Kids Go to Work». The Wall Street Journal. Retrieved 2008-10

<sup>25</sup> <[https://www.executive.ru/wiki/index.php/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5\\_Y](https://www.executive.ru/wiki/index.php/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_Y)> [13.02.2022].

### თაობა Y-ის ძირითადი ნიშნები

- იგრეკები არ არიან მიჯაჭვული ერთ სამუშაო ადგილს;
- ისინი არ არიან მიჯაჭვული საკუთარ საქმიანობასთანაც კი;
- თაობა Y გახდა „პიონერი“ დისტანციურ მუშაობასა და საქმიანობაში (ფრილანსი): ასეთი სახის საქმიანობა ფრიად სპეციფიკურია უფროსი თაობისთვის;
- თაობა იგრეკი ძალიან ტექნოლოგიურია;
- თაობა იგრეკი ორიენტირებულია შედეგზე, ამბიციურია, არ უშინდება არსებული მდგომარეობის დარღვევას, გუნდური მოთამაშეა, თანმიმდევრული და მრავალფუნქციურია<sup>26</sup>.

### თაობა Z (ზეტი) ან ზუმერები | (2000 – 2015 წწ)

ამ თაობაზე ბევრი რამაა ცნობილი, მაგრამ არაფერია გამოკვეთილი. განსაკუთრებით ცნობილი ზეტი ნობელის ლაურეატია, მაღალა იუსუფზაი, დაბადებული 1997 წელს, რომელსაც წინსწრებით მაინც 21-ე საუკუნის პირველ თაობას მიაკუთვნებენ. ტრადიციულად თაობა Z-ის ადამიანებს განიხილავენ როგორც თაობა X-ის წარმომადგენელი მშობლების შვილებს, ან ზოგჯერ თაობა Y-საც კი<sup>27</sup>. ეს თაობა გაიზარდა განსხვავებულ ოჯახურ სტრუქტურებში, ეთნიკური ჯგუფების უფრო მრავალფეროვანი შეხამებით და შერეული გენდერული როლებით. ისინი შესანიშნავად ერკვევიან გაჯეტებში, ბევრს ინტერნეტიდან შემოსავალი ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან აქვს, გამუდმებით „ტელეფონში ან კომპიუტერში ზიან“, უყურებენ მოკლე ვიდეორგოლებს TikTok-ში და ოცნებობენ მილიონიანი ბლოგერის პროფესიაზე<sup>28</sup>. მათთვის ინტერნეტი არ შემოიფარგლება სახლის კომპიუტერით და ნებისმიერ მომენტში შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი, ახალი მობილური ტელეფონების, სმარტფონებისა თუ ჯიბის მოწყობილობების წყალობით. თაობა Z არის პირველი თაობა, რომელიც დაიბადა გლობალიზაციისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქაში. თაობა Z-ის მოზარდები სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობენ თავიანთი წინამორბედებისგან განსხვავებით. მათთვის ციფრული

<sup>26</sup> <<https://www.affde.com/ru/common-characteristics-of-generation-y-professionals.html>> [13.02.2022].

<sup>27</sup> Listen to the Natives // Marc Prensky.

<sup>28</sup> <<https://tass.ru/obschestvo/11492951>> [13.02.2022].

სერვისები და ტექნოლოგიები – ეს არის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ეს მოზარდები უპირატესობას ანიჭებენ პრესტიჟულ საქმიანობას, ისეთს, სადაც არ მოითხოვება მძიმე შრომა, და რისთვისაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელია მომზადების მაღალი დონე და უმაღლესი განათლება. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი უმეტესობა მომავალში თავის ცხოვრებას დაუკავშირებს ბიოინჟინერიას, IT-ტექნოლოგიებს, ვირტუალურ რეალობას, 3D-ბეჭდვას, უპილოტო ავტომობილებს და სხვა სფეროებს, რომლებიც დაკავშირებულია რაღაც ახლის და ამოუცნობის კვლევასთან. უპირობო ლიდერი თაობა Z ში – ეს არის პროფესია პროგრამისტი; ისინი ცდილობენ გაიუმჯობესონ ინფორმაციის აღქმის, დამუშავების და მოლაპარაკებების შემდგომი წაყვანის უნარები. მიმდინარე ტრენდების ცოდნა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, ხოლო სხვა დანარჩენის გაგება ნებისმიერ მომენტში შეიძლება მსოფლიო ქსელის მეშვეობით. ადრეული ასაკიდანვე ზეტებს უყვართ ცოდნის განახლება და აქვთ უნარი დაიმახსოვრონ და დაამუშაონ დიდი რაოდენობის ინფორმაცია. ძირითად ცნობებს ისინი ინტერნეტიდან ღებულობენ. მათი უმეტესობა თვითნასწავლია და სწავლის სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, როგორიცაა ვებინარები, ინსტაგრამის პოსტები და იუთუბის ვიდეორგოლები. Z-ის ბავშვებს ყოველთვის აქვთ ჯიბის ფული და ბავშვობიდან იციან მისი განკარგვა<sup>29</sup>. მათ არ სჭირდებათ კომფორტული პირობები, სტაბილური სამუშაო და ფინანსური პრივილეგიები. ისინი ახლისკენ და უცნობისკენ მიილტვიან. ერთი რამ ნამდვილად ცნობილია, მათ მოტივირება სჭირდებათ.

Z თაობამ ადრეული ასაკიდანვე იცის, რომელი კარიერული გზით სურს სვლა. ბევრი მოზარდი მომავალში თავის თავს ხედავს მეწარმედ, თუმცა მთლიანობაში ფინანსური სფერო ჩამორჩება სხვა სახის საქმიანობას, მაგალითად, სპორტს. არც თუ ისე იშვიათად მოზარდები ირჩევენ იურისპრუდენციას, მარკეტინგს და მასმედიას. Z თაობა („ციფრული აბორიგენები“) მიჯაჭვულია მრავალგვარ მოწყობილობასთან, ენდობა მეგობრების გამოქვეყნებულ ინფორმაციას, ასევე ბლოგერებისა და მოსაზრებათა ლიდერების რეკომენდაციებს. კონცეფცია “Word of Mouth”

<sup>29</sup> Generations X, Y, Z and the Others (аҥҥ.). W. J. Schroer.

(“ხელიდან ხელში“) ამ თაობის წარმომადგენელთა კომუნიკაციის მოდელის განუყოფელი ნაწილი გახდა; ახასიათებთ დაფიქრებულობა, მრავალფუნქციურობის უნარი, სწორხაზოვნება, ეკონომიურობა, ჩაკეტილობა. Z თაობა არის სტარტაპების და კრეატიული მეწარმეობის თაობა. Z არ დაინტერესდება დაგროვებისა და ძვირადღირებული ნივთების შეძენის მოდელით. მათთვის ფასეულობა იქნება სერვისები „აქვე და ახლავ“ – ქირავნობა, ქარშერინგი, ტაქსი. ზეტებს არ აინტერესებთ პოლიტიკური სიახლეები, ისინი არ ენდობიან ოფიციალურ ახალ ამბებს, თუმცა თვალყურს ადევნებენ აღნიშნულს სოციალური ქსელებით. ზეტ თაობის წარმომადგენელი უფრო მეტად დაინტერესებულია, შექმნას საკუთარი უნიკალური კონტენტი და იმუშავეს საკუთარი უნიკალური სტარტაპების შესაქმნელად, რაც მას ინოვაციების შესაძლებლობას მისცემს მაშინვე ან რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ. კორპორატიული კულტურა მნიშვნელოვანია, მაგრამ Z თაობისთვის გამორჩეულობის და თვითმყოფადობის უნარიც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ჯგუფი შექმნის საკუთარ ბრენდებს და განავითარებს დამსაქმებლის ბრენდებს. არ ღირს ვიფიქროთ, რომ იდეის გამო თაობა Z უფასოდ იმუშავეს (ამ თაობის 63%-ის მუშაობა მოტივირებულია პრემიებით და ბონუსებით) ან არ ესაჭიროება სამედიცინო დაზღვევა. საკმაოდ მალე Z - სულ უფრო მეტ ადგილს დაიკავებენ კომპანიებში და დამსაქმებლები, რომლებიც ამისთვის მზად არ იქნებიან – დაკარგავენ ახალგაზრდა, ნიჭიერ კანდიდატებს.

Z თაობისთვის მნიშვნელოვანია უწყვეტი მოძრაობა და შთაბეჭდილებები. ისინი ადვილად სინჯავენ ყოველივე ახალს და სწრაფად გადაერთვებიან ერთიდან მეორეზე. Z თაობის ადამიანები ცდილობენ დაიჭირონ რაც შეიძლება მეტი მრავალგანხრიანი ინფორმაცია და მიიღონ რაც შეიძლება მეტი შთაბეჭდილება. თავისუფლად შეუძლიათ ისწავლონ რამდენიმე ენა, უყვართ მოგზაურობა და სხვადასხვა ჰობის მოსინჯვა. მათ შორის ბევრი შემოქმედებითი ადამიანია<sup>30</sup>.

<sup>30</sup><https://daily.afisha.ru/pokolenie/5472-x-y-z-kak-svyazany-teoriya-pokoleniy-i-istoriya-sovremennoy-kultury/> [23.02.2022]

### დამახასიათებელი თავისებურებები

- სრაფვა უწყვეტი განათლებისკენ. მხედველობაშია არა სტანდარტული სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება, არამედ თვითგანათლება, ყოველივე ახლის შემცნება. მაგალითად, მათ აინტერესებთ, გაიგონ, როგორ მუშაობს ესა თუ ის გაჯეტი, როგორ გადაიღონ და დაამუშაონ ვიდეო, როგორ გამოიმუშაონ ფული ინტერნეტში. ისინი არ აღიქვამენ დიდი მოცულობის ინფორმაციას – ხანგრძლივ ვიდეოებს, ტექსტებს; მაგრამ არა იმიტომ, რომ ზარმაცები ან სულელები არიან, არამედ იმიტომ, რომ თანამედროვე სამყაროს განვითარების ტემპები და ინფორმაციის ის მოცულობა, რომელსაც ისინი ღებულობენ უბრალოდ საშუალებას არ აძლევთ ერთ რამეზე დიდ ხანს შეჩერდნენ. საჭიროა მოკლე დროში მოასწრონ ინფორმაციის დიდი ნაკადის დამუშავება და იქიდან ყველაზე მნიშვნელოვანის აღება;
- მუშაობას ისე გეგმავენ, რომ დაიცვან სიამოვნების, სიცოცხლით ტკბობის და კარიერული ზრდის ბალანსი. Start up თაობა – დიდ ინტერესს ავლენს მეწარმეობისადმი;
- კომუნიკაციის ოპტიმალურ სახეობებად მიიჩნევენ სოციალურ ქსელებს, ჩატებს, მესენჯერებს – ყოველთვის ქსელში არიან. ინფორმაციას ღებულობენ „ღრუბლის“ ნაკადიდან, ვიდეო-ჩატებიდან, აუდიო-შეტყობინებებიდან, მოკლე ვიდეოებიდან;
- სურთ, იყოს თანასწორობა და დისკრიმინაციის არარსებობა. ისინი ნათლად ხედავენ თავიანთ მომავალს და ისწრაფიან მალე გახდნენ ზრდასრული, რაც მათ ქცევებში ვლინდება. Z თაობის წარმომადგენლები იზიარებენ თანასწორობას და დისკრიმინაციის არარსებობას არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ მასმედიაშიც;
- ასევე ეს ადამიანები გლობალურად აზროვნებენ, მათ შორის სულ უფრო მეტია ისეთი, ვისაც სურს სარგებელი მოუტანოს მსოფლიოს და საზოგადოებას და არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრება მოიწყოს;

- ეს თაობა საკმაოდ ოპტიმისტურია და ძალიან აღელვებს საკუთარი ამბიციები<sup>31</sup>.

თაობათა დროის საზღვრები „მცოცავია“, სხვადასხვა ქვეყნებისთვის. ისინი გადაადგილებულია ინდუსტრიალიზაციის, ეკონომიკური განვითარების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების განსხვავებული ტემპების გამო; ასევე ეს განპირობებულია დემოგრაფიული ცვალებადობის სტადიით – შობადობის და სიკვდილიანობის ტემპების ცვლილებით (ერთის და მეორის კლებით), რის შედეგადაც არ არის რაოდენობრივი ზრდა.

კვლევის საფუძველზე<sup>32</sup> შესაძლებელია ითქვას, რომ განათლების სისტემა საქართველოში (განსაკუთრებით კი პანდემიის პერიოდში) საჭიროებს ცვლილებას. რაც შეეხება ზეტ თაობას, შესაძლებელი ხდება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ზეტ თაობა ეს ახალგაზრდა ხალხია, რომლებიც ორი ათასწლეულის მიჯნაზე დაიბადნენ, გლობალური ცვლილებების დროს, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიები საკმაოდ ახალია, თუმცა სწრაფად ვითარდება. ეს თაობა ან ამ ტექნოლოგიების დანერგვამდე იბადება, ან მათი განვითარების პარალელურად იზრდება. როდესაც ზეტ თაობა სრულწლოვანებამდე აღწევს, ჩნდება ალფა თაობა, ციფრული ტექნოლოგიების თაობა. ამ ფონზე ზეტ თაობის ახალგაზრდებს უვითარდებათ დაუცველობის კომპლექსი, ეშინიათ, რომ ალფა თაობა მათ დაჩრდილავს და მათ ადგილს დაიკავებს. ჩვენი აზრით, ამ შიშს შეუძლია ზეტ თაობაში აღძრას თვითგანვითარების კონკურენტული პროცესი და ალფა თაობად გარდაქმნას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ Z თაობას (ასაკის მიხედვით) აქვს Y, Z და Alpha თაობებისთვის დამახასიათებელი თვისებები;
2. ზეტ თაობას აქვს სურვილი, უნარი და შესაძლებლობა, გააანალიზოს წინა თაობების მიერ დაშვებული შეცდომები, ასევე გამოიტანოს დასკვნები და ისწავლოს ამ შეცდომებზე;

<sup>31</sup> <<https://ria.ru/20200107/1562255259.html>> [13/02/2022].

<sup>32</sup> Педагогический Институт Цхум Абхазской Академии Наук, 2014 год; 12 лет работы сотрудников Комитета Тренеров Педагогов с 2005 года с учащимися беженцами.

3. Z თაობა სერიოზულ ყურადღებას აქცევს ფსიქიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას. ბავშვობაში მათ განიცადეს სტრესი, რაც თან ახლავს საზოგადოებაში გლობალური ცვლილებების პერიოდს, ომებს და ა.შ. ამ ახალგაზრდებს ესმით, თუ როგორი შედეგი შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს მათთვის, სწორედ ამიტომ ისინი ზრუნავენ საკუთარ ჯანმრთელობასა და ფსიქიკაზე, ამისათვის დადიან ფსიქოლოგებთან, ეძებენ მსგავსი პრობლემების მქონე მეგობრებს სოციალურ ქსელებში, ცდილობენ გაუგონ და დაეხმარონ ერთმანეთს. შესაძლოა, ამიტომაც ხდება ახალგაზრდების ტელეფონი ესკეპიზმის საშუალება (რეალობისგან თავის დაღწევის სურვილი). მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ მშობლები, უმეტესწილად, ისევ ძველებურად ზრდიან თავიანთ შვილებს, თუმცა არ აქცევენ ყურადღებას იმას, რომ ამით საბოლოო ჯამში ბავშვებს შესაძლოა კომპლექსები ჩამოუყალიბდეთ.

#### **„თაობა ალფა“ „A“ (2010–2025) (ავსტრალიელი მეცნიერის მარკ მაკ კრინდლის ტიპოლოგია)**

თაობა ალფას ტიპიური წარმომადგენელი – ეს არის ბავშვი, რომელმაც იცის, როგორ გამოიყენოს Youtube მანამ, სანამ წერა–კითხვას ისწავლიდეს. დაახლოებით 2 წლის ასაკში პატარების 80% უკვე აქტიურად თამაშობს თამაშებს სმარტფონებში და პლანშეტებში. მათთვის დროის გატარების ყველაზე სასურველი სახეობა არის ინტერნეტში ყოფნა. ბავშვებისთვის, რომლებიც ციფრულ ეპოქაში დაიბადნენ, ვირტუალური და რეალური სამყარო თითქმის ერთი და იგივეა.

თაობა ალფას წარმომადგენელთა შესახებ სრული სურათის შექმნაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა ძირითადი ტენდენციებისა და წინა თაობებისაგან განსხვავების შემჩნევა ახლაც შესაძლებელია.

ალფა ძირეულად განსხვავდება თავისი წინამორბედებისგან ბევრი პუნქტით. ისინი ადრეული ასაკიდანვე უფრო გაწონასწორებულები, პოზიტიურები, ნაკლებად აგრესიულები არიან, ვიდრე წინა თაობის წარმომადგენლები და უფროსებთან ერთ დონეზე ურთიერთობენ, ისინი უკეთ ეწყობიან მშობლებს. ალფა თაობის ბავშვები მიდრეკილი არიან თვითდისციპლინისკენ და ნაკლებად ექვემდებარებიან კონტროლს გარედან. არ შეიძლება, მათ რამე აიძულო. იძულება,

როგორც სწავლების მეთოდი, მათზე არ მოქმედებს. ისინი ინტერესით მიიღებენ ცოდნას, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ესმით, რატომ სჭირდებათ ეს. ისინი ეცდებიან შეუერთდნენ არა სტრუქტურებს ან ორგანიზაციებს, არამედ ცხოვრების და აზროვნების წესს. ისინი არიან მულტიტასკინგის და მობილურობის ადეპტები, დამოკიდებულნი ტექნოლოგიებზე<sup>33</sup>.

ამ თაობის წარმომადგენლები პრაქტიკულები არიან თითქმის ყველაფერში, არ ერიდებთ კიდევ ერთხელ იკითხოვ „რატომ?“. მათ განსაკუთრებით ალელვებთ კითხვა, როგორ გამოიყენონ შეძენილი ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ პასუხი არ მოეწონებათ, ამა თუ იმ მოქმედების მნიშვნელობის ახსნა უკიდურესად პრობლემატური იქნება. ისინი სწრაფად კარგავენ ინტერესს რაიმეს მიმართ, ძნელია მათი გაოცება ან გაბედნიერება.<sup>34</sup>

ალფამ იცის მთელი რიგი ფსიქოლოგიური ილეთი, რაც მშობლებზე მოქმედებს. ადვილად შეუძლიათ ანალიზი გაუკეთონ თავიანთ შინაგან მდგომარეობას და ჩასწვდნენ დეპრესიის წარმოშობის, ან პირიქით, განწყობის ამადლების, მიზეზებს. ისინი მზად იქნებიან აიტანონ ნებისმიერი სასჯელი, მაგრამ, რაც არ უნდა დაუჯდეთ, თავის აზრზე დარჩებიან. ალფა ინფორმირებული და კომპეტენტურია მრავალ საკითხში, რაც მიუწვდომელი იყო ბავშვის აღქმისთვის ჯერ კიდევ 10 წლის წინ, როგორცაა მშობლების ურთიერთობები, ოჯახის ფინანსური პრობლემების მიზეზები და, პრინციპში, რისთვის არის საჭირო ფული. მათი აზროვნება კარდინალურად განსხვავდება ყველა წინამორბედისგან. მათთვის მნიშვნელოვანია არა მისამართების, თარიღების ან სახელების დამახსოვრება, არამედ იმის ცოდნა, რომელი წყაროდან ჯობია საჭირო ინფორმაციის მოპოვება, როგორი კლასიფიკაცია გაუკეთოს მას და როგორ გამოიყენოს მომავალში. მათ შეუძლიათ აღიქვან დიდი მოცულობის ინფორმაცია, არიან მგრძნობიარე, სათუთი და ვერ იტანენ ძალადობას, არც ფიზიკურს, არც მორალურს<sup>35</sup>.

<sup>33</sup><https://creativity.ua/marketing-and-advertising/pokolenie-alfa-kto-oni-i-v-chjom-ih-osobennosti/> [13.02.2022].

<sup>34</sup><https://creativity.ua/marketing-and-advertising/pokolenie-alfa-kto-oni-i-v-chjom-ih-osobennosti/> [13.02.2022].

<sup>35</sup> <https://www.vedomosti.ru/society/articles/2020/10/12/843012-zagadochnaya-tochka> [13.02.2022].

განათლების სისტემა, ზოგი ექსპერტის აზრით, ონლაინ რეჟიმში გადავა. ამ ბავშვებს წინამორბედებზე უკეთ ეცოდინება, რა სურთ ისწავლონ. შესაძლოა, თავად განათლებულობის ცნებაც შეიცვალოს. ალფა თაობის სწავლება სხვა სცენარით წავა. ის პერსონიფიცირებული იქნება, ბავშვებს მეტი არჩევანი ექნებათ. ალფა ადამიანებს მოუწევთ ინტუიციით მიხვდნენ, რა უნარ-ჩვევებს უნდა დაეუფლონ, რომ მომავალში წარმატებული იყონ. ასეთი მუდმივი ცვლილებების გარემოში 4–7 წლის დახარჯვა ფუნდამენტალური უმაღლესი განათლების მისაღებად უცნაურად ჩანს. ასე რომ უმაღლესი განათლების დიპლომი დაკარგავს ადრინდელ ფასეულობას. ახალ თაობას მოუწევს გამუდმებით შეიძინოს ახალი უნარ-ჩვევები ან სულაც შეიცვალოს საქმიანობა, რადგან მათი შემოსავალი დამოკიდებული იქნება პროცესში ოპერატიულ ჩართვაზე. გარდა ამისა, ალფა ადამიანები ძალიან ერუდირებულები იქნებიან, რადგან მათი განათლება დაიწყება ჩვილობიდანვე და გაგრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. ალფა არა მარტო შექმნიან ახალ პროფესიებს, ისინი ერთდროულად რამდენიმე პროფესიას აითვისებენ. ალფა თაობისთვის, ინტერნეტის საყოველთაო გავრცელების გამო, საზღვრები წაიშლება: კულტურული, პოლიტიკური და ა.შ. ამიტომ ალფა თაობისთვის მნიშვნელოვანი იქნება გლობალური მსოფლიოს მოწყობა, რომელიც იქნება უფრო მოქნილი და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე, სადაც დიდი ყურდღება მიექცევა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა ტერორიზმი, ეკოლოგია, რესურსების კლება<sup>36</sup>.

გარდა ამისა, დღეს სულ უფრო მეტი სწავლული საუბრობს ხელოვნურ ინტელექტზე, რომელიც ისე ინტენსიურად ვითარდება, რომ შესაძლოა, მალე ადამიანებს მათთან კონკურენცია მოუწიოთ. ხოლო რობოტებთან კონკურენციის ერთადერთი საშუალება ემოციური ინტელექტის განვითარებაა, რომელიც მანქანებისთვის მიუწვდომელია, და ესეც იქნება ალფას ამოცანა.

**ალფა თაობის ძლიერი მხარეები:** ერუდირებულობა, ტექნოლოგიურობა, პორსონალიზირება, გულწრფელობა.

<sup>36</sup><<https://www.adme.ru/svoboda-kultura/na-smenu-pokoleniyu-z-idet-novoe-alfa-pochemu-k-nemu-stoit-prismotretsya-priamo-sejchas-225>> [13.02.2022]

**თაობა ალფას სუსტი მხარეები:** ტექნოლოგიებზე დამოკიდებულება, კოორდინაციის და ყურადღების დარღვევა, ემოციის ამოცნობის გაძნელება.

ჩვენ ვთვლით, რომ შესაძლო მიზეზი, რის გამოც ალფა თაობა არ შორდება ტელეფონს, შეიძლება იყოს სტრესის მაღალი დონე და მასთან გამკლავების შეუძლებლობა, გაზრდილი და შეუსაბამოდ მაღალი მოთხოვნები მათ მიმართ და, განსაკუთრებით პატარა ქალაქებში, გართობის ნაკლებობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიის დროს.

ჩვენი აზრით, ალფა თაობა საკუთარ თავს დროის მეპატრონედ თვლის, ზეტ თაობასაც კი ისინი უყურებენ, როგორც წარსულის თაობას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ვლინდება საერთო ჰობის განხილვისას. ასევე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ალფა თაობას ახასიათებს ემოციების გამოხატვის საკმაოდ დაბალი უნარი და თანაგრძნობის დაბალი დონე, თუმცა მათ ახასიათებთ პატიოსნება.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ალფა თაობის წარმომადგენლები დღეგრძელი იქნებიან. მათ მოემსახურება განვითარებული მედიცინა. ასეთი ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობამ შესაძლოა 100 წელს მიაღწიოს.

დემოგრაფები თვლიან, რომ სწორედ ალფა თაობის ბავშვები გახდებიან პროგრესის მამოძრავებელი ძალა ჩვენს ასწლეულში. ისინი არიან უფრო გაწონასწორებულები, პოზიტიურები, ნაკლებად აგრესიულები და შეეცდებიან შეუერთდნენ უკვე არა სტრუქტურებს, კონფესიებს და ორგანიზაციებს, არამედ ცხოვრებისა და აზროვნების წესს.

მიიჩნევა, რომ ალფებისთვის მნიშვნელოვანი იქნება საინტერესო სამუშაო, ამასთანავე მხოლოდ 40% მიიღებს უმაღლეს განათლებას. ისინი დამოკიდებული არიან ტექნოლოგიებზე, დაკავებული არიან რამდენიმე საქმით, ძალიან მობილურები არიან<sup>37</sup>.

---

<sup>37</sup><https://osvitanova.com.ua/posts/1807-osobennosty-pokoleniya-alfa-sovremennye-dety-novoi-formaty>  
[13.02.2022]

**ლიტერატურა:**

1. ალფა თაობა - ბავშვები დაბადებული 2001 წლის მერე/Поколение Альфа – дети, появившиеся на свет после 2010 года.
2. Alsop, Ron (2008-10-21). «The Trophy Kids Go to Work». The Wall Street Journal. Retrieved 2008-10-24.
3. Brittani Lusk — DAILY HERALD (2007-12-05). «Lusk, Brittani. „Study Finds Kids Take Longer to Reach Adulthood.“ Provo Daily Herald 5 December 2007».
4. Francesc Pedró. The New Millenium Learners: Challenging our Views on ICT and Learning. OECD-CERI May 2006.
5. Generations X, Y, Z and the Others (англ.). W. J. Schroer. Дата обращения: 2 апреля 2018.
6. Hoover, Eric (11 October 2009). «The Millennial Muddle: How stereotyping students became a thriving industry and a bundle of contradictions». The Chronicle of Higher Education (The Chronicle of Higher Education, Inc.) Retrieved 11 January 2011.
7. Listen to the Natives // Marc Prensky Архивировано 31 января 2010 года.
8. Shaputis Kathleen. The Crowded Nest Syndrome: Surviving the Return of Adult Children. Clutter Fairy Publishing, 2004. Print ISBN 978-0-9726727-0-2.
9. Strauss & Howe 1997, pp. 14-15,101,102,58,62,101,102, 254—260.
10. «The Trophy Kids Go to Work».(The Wall Street Journal. Retrieved 2008-10.
11. Travis, Alan (2009-08-12). «Youth unemployment figures raise spectre of Thatcher's Britain». The Guardian (London). Retrieved 2010-05-03 .
12. Анипкин М. "Поколение лишних людей": антропологический портрет последнего советского поколения. (рус.) // Неприкосновенный запас : научный журнал. — 2018. — № 117. — С. 290—308. — ISSN1815-7912.
13. Архивная копия от 17 августа 2010 на Wayback Machine Heraldextra.com. Retrieved 2010-08- Brittani Lusk — DAILY HERALD (2007-12-05).
14. «Дети поколения альфа как новый вызов классической педагогике» Журнал: Вопросы устойчивого развития общества. №6. 2021год.
15. История будущего Америки. 1584–2069 (1991) и Millennials Rising: The Next Great Generation (2000).
16. Карина Салтыкова <https://tass.ru/obschestvo/11492951>.
17. Молодежь новой России: образ жизни и ценностные приоритеты // Москва-2007. Институт социологии РАН.
18. <https://osvitanova.com.ua/posts/1807-osobennosty-pokoleniya-alfa-sovremennyye-dety-novoi-formatsy>
19. <http://spsu.ru/news/4525-teoriya-pokolenij-x-y-z-i-a-al-fa-kto-est-kto>

20. <https://greatuse.ru/pokoleniya-xyz/>
21. <https://trends.rbc.ru/trends/futurology/5dfcabbf9a7947a532b7f9a5>
22. <https://hurma.work/ru/blog/teoriya-pokolenij-ot-x-do-z-hto-nuzhno-znat-htoby-rabotat-vmeste/>;
23. <https://www.adme.ru/svoboda-psihologiya/hto-takoe-teoriya-pokolenij-i-k-kakomui-pokolenij-otnosites-vy-1694865/>
24. <https://womo.ua/generations-x-y-z/>:
25. <https://daily.afisha.ru/pokolenie/5472-x-y-z-kak-svyazany-teoriya-pokoleniy-i-istoriya-sovremennoy-kultury/>
26. <https://externat.foxford.ru/polezno-znat/osnovy-teorii-pokolenij-xyz>
27. <http://www.oecd.org/dataoecd/1/1/38358359.pdf>
28. [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5\\_Y](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_Y)
29. <https://prostudio.ru/journal/generation-x-y-z/>)
30. [https://www.e-xecutive.ru/wiki/index.php/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5\\_Y](https://www.e-xecutive.ru/wiki/index.php/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_Y)
31. [https://www.e-xecutive.ru/wiki/index.php/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5\\_Y](https://www.e-xecutive.ru/wiki/index.php/%D0%9F%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_Y)
32. <https://www.affde.com/ru/common-characteristics-of-generation-y-professionals.html>
33. <https://daily.afisha.ru/pokolenie/5472-x-y-z-kak-svyazany-teoriya-pokoleniy-i-istoriya-sovremennoy-kultury/> (
34. <https://postium.ru/pokoleniya-x-y-z-kto-eto/>
35. <https://ria.ru/20200107/1562255259.html>
36. <https://creativity.ua/marketing-and-advertising/pokolenie-alfa-kto-oni-i-v-chjom-ih-osobennosti/>
37. <https://creativity.ua/marketing-and-advertising/pokolenie-alfa-kto-oni-i-v-chjom-ih-osobennosti/>
38. <https://www.vedomosti.ru/society/articles/2020/10/12/843012-zagadochnaya-tochka>
39. <https://www.adme.ru/svoboda-kultura/na-smenu-pokoleniyu-z-idet-novoe-alfa-pochemu-k-nemu-stoit-prismotretsya-pryamo-sejchas-225>

## Gradation of Generations

**Mediko Antia**

Doctor of Technics, Academician of the Tskhum-  
Abkhazian Academy of Sciences  
E-mail: medeaantia1@gmail.com

*Presented by the Institute of Pedagogy and Methodology of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** Basic articles and characteristics of X, Y, Z and alpha generations are included in the article.

The generation is determined by the coexistence of people, born in the course of approximately 20 years, during which its representatives stand with different key historical events and social events. e. they perpetuate another kind of "transgression", they separate common beliefs and models of behavior (archetypes) and they express a sense of belonging to a given generation.

**Keywords:** *Generations, generation X, generation Y, generation Z, generation Alpha.*

## სარჩევი — Content

### გამოყენებითი მათემატიკა

#### Applied Mathematics

**George Pochkhua, Leila Sulava**

About One Mathematical and Computer Model for Resolving Political Conflicts with the Participation of International Investment Institutions .. 3

**გიორგი ფოჩხუა, ლეილა სულავა**

საერთაშორისო საინვესტიციო ინსტიტუტების მონაწილეობით პოლიტიკური კონფლიქტების გადაწყვეტის ერთი მათემატიკური და კომპიუტერული მოდელის შესახებ ..... 20

### კომპიუტერული მეცნიერებები

#### Computer Sciences

**Nugzar Kereselidze**

About Optimal Control Task of the Fight Against Disinformation ..... 22

**ნუგზარ კერესელიძე**

დებინფორმაციასთან ბრძოლის ოპტიმალური მართვის ამოცანის შესახებ ..... 27

### ეკონომიკა და ბიზნესი, დემოგრაფია

#### Economics and Business, Demography

**Vazha Kakabadze**

Main Determinants of the Doctrine of Preservation of Independence of the Former USSR (Georgia, Ukraine) ..... 29

**ვაჟა კაკაბაძე**

ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების (საქართველო, უკრაინა) დოქტრინის ძირითადი განმსაზღვრელები ..... 35

### სოფლის მეურნეობა

#### Agriculture

**Nugzar Ebanoidze**

New Machines in Georgia for the Future Development of the Tea Industry ..... 36

|                                                                              |    |
|------------------------------------------------------------------------------|----|
| <b>ნუგზარ ებანოიძე</b>                                                       |    |
| ახალი მანქანები - საქართველოში მეჩაიეობის შემდგომი<br>განვითარებისთვის ..... | 40 |
| <b>Vitali Dundua, Soso Tavberidze</b>                                        |    |
| Issues of Mechanization of Harvesting in Fruit Orchards .....                | 41 |
| <b>ვიტალი დუნდუა, სოსო თავბერიძე</b>                                         |    |
| ხეხილოვან ბაღებში მოსავლის აღების მექანიზაციის საკითხები ..                  | 48 |

## ქართული ენა და ლიტერატურა Georgian Language and Literature

|                                                                            |    |
|----------------------------------------------------------------------------|----|
| <b>ეკა ვარდოშვილი</b>                                                      |    |
| ხალხური შემოქმედების ასახვისათვის ალექსანდრე ყაზბეგის<br>თხზულებებში ..... | 50 |
| <b>Eka Vardoshvili</b>                                                     |    |
| For Reflection of Folk Creativity in the Writings of Alexander Kazbegi ..  | 59 |
| <b>ჯონი მარღანია</b>                                                       |    |
| სინამდვილის მხატვრული გარდასახვა .....                                     | 60 |
| <b>Joni Margania</b>                                                       |    |
| Artistic Transformation of Reality .....                                   | 69 |

## საქართველოს ისტორია, ისტორია History of Georgia, History

|                                              |    |
|----------------------------------------------|----|
| <b>იზოლდა ბელთაძე</b>                        |    |
| ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია ..... | 70 |
| <b>Izolda Beltadze</b>                       |    |
| Dutch East India Bond Company .....          | 80 |

## ეთნოლოგია Ethnology

|                                                             |     |
|-------------------------------------------------------------|-----|
| <b>ირმა კვაშილავა</b>                                       |     |
| პატიოსანი ესე მონასტერი ახალი ათონისა .....                 | 81  |
| <b>Irma Kvashilava</b>                                      |     |
| This New Honest Monastery of New Athos (Akhali Atoni) ..... | 93  |
| <b>ნინო ხარჩილავა</b>                                       |     |
| მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები .....            | 94  |
| <b>Nino Kharchilava</b>                                     |     |
| Customs Related to the Dead .....                           | 108 |

**სხვა ფილოლოგია**  
**Other Philology**

**Rusudan Gogokhia**

Working on Foreign Text and Reading Strategies in Language Teaching 109

**რუსუდან გოგოხია**

უცხო ტექსტზე მუშაობა და კითხვის სტრატეგიები ენის  
სწავლებისას ..... 115

**სოციალური მეცნიერებები და მართვა**  
**Social Sciences and Management**

**Marina Chichua**

Current Trends of Public Participation in the Enviromental Decision  
Making Process in Georgia ..... 117

**მარინა ჩიჩუა**

გარემოსდაცვითი გადანყვეტილებების მიღების პროცესში  
საზოგადოების მონაწილეობის ტენდეციები საქართველოში ..... 124

**პედაგოგიკა და მეთოდოლოგია**  
**Pedagogy and Methodology**

**მედიკო ანთია**

თაობათა გრადაცია ..... 126

**Mediko Antia**

Gradation of Generations ..... 150